იმ დღესა უცნაურად დაიწყო დილა,მომინდა გარეთ გახედვა.მივედი სარკმელთანა,ვნახე მოადგა ჩემივე კარსა ჯოგი ირემთა. თორმეტი სული.თავისივე პატარა ნაშიერებითა.

მეგონა მეჩვენება,გონება აურევია ვარამსა თქო თქო,ვუჭვრეტდი გაოგნებული.

კართან იდგა მოდგმა ირემთა.მითამაშებდნენ თავისივე პატარა კუდებსა

საცქერლად მშვენიერი იყო,ხელი ზეციერისა,მეგონა საჩუქრად მოუხატავს ბუნებასა თქო.გავაღე კარი და გავედი გარეთა

თავიდან მეგონა მოშვიდათ თქო,მივხვდი არც ერთი არ ჰგვანდა მშიერსა.წყალი გამოვუტანე,არ მიიკარეს.ვერ ამეხსნა უცნაური საქციელი ცხოველთა.

ვიწერდი პირჯვარსა,ვადიდებდი უფალსა,რა მექნა არ ვიცოდი.

მერე ერთი იმათგანი გამოეყო თავისივე ჯოგსა,გავიდა მოშორებითა.გაჩერდა,თითქოს მელოდა.

წავედი იქეთა,წავიდა ირემიცა,მერე ისევე გაჩერდა.გავავრძელე გზა.მივხვდი უნდა მივყოლოდი.გავყევი ირემსა.გავიდა ციხესა.უკანვე მივსდიე.

გავედი ბოლოსა.დავინახე ზემოთა:იგივე ირემი იდგა ერთ ადგილსა.არ ინძროდა.

ვერ დავინახე. მივედი ახლოს. ვნახე პატარა ირემი წევს მიწასა,  
ვერ ინძრევა, მითამაშებს პატარა კუდსა.  
მოვეფერე ხელი გადავუსვი თავსა. თავისივე საქციელით მთხოვდა  
მიშველეო.  
თურმე დედა შველი დარაჯობდა. კინალამ ვერ დავინახე.  
მივხვდი. ლოდი გადმოვარდნილა. დაცემია, ფეხი ჰქონია მოტეხილი,  
მეორესაც იტკიებდა.  
წინა ფეხები მთელი ქონდა. აბაკუნებდა მყარად ეხებოდა მიწასა.  
საშველად წავუყვანივარ. განსაცდელი ჰქონიათ, ვერ დავტოვებდი  
ირემსა.  
გადმოვიხედე დაბლა, ისევე იდგნენ ირემები და მითამაშებდნენ თავისივე  
პატარა კუდებსა, მეხვეწებოდნენ, რამე ილონეო.  
ვფიქრობდი რა მექნა, მარტო ვიყავი, ვერავის დავიხმარებდი.  
როგორმე უნდა ჩამეყვანა დაბლა. მერე მაღლა. ციხემდე უნდა მივ-  
სულიყავი. შევვუძახე მგელსა. გაიქცა.  
დავბრუნდი ციხესა. მინდოდა მიმეტანა მარხილი თოვლისა. დავა-  
კრავ ზედა. ასე წავიყვან თქო.  
მოვნახე მარხილი, ავიღე ბაგირი. უკანვე გავემართე.  
დავინახე ირემები დაფეთებულნი მორბოდნენ ციხისკენა  
მივხვდი ნადირი მოსულიყო, დააფრთხო. დავაგდე მარხილი და  
გავიქეცი ზემოთა.  
თურმე მაღლიდან ჩამოსულა დათვი. მირბოდა ირმისკენა  
კულრიალე. დაფრთხა. ქვემოთ გაიქცა. დაველოდე, მერე მოვიდნენ  
ირმებიცა.  
მივხვდი აღარ იყო, წასულიყო ნადირი. ავიტანე მარხილი.  
დავაპირე შემოდება მარხილსა, ვიფიქრე ასე მივიყვან ციხესა თქო.  
გამიძნელდა, ბევრად მძიმე ყოფილა. საზიდარი დავიხმარე. შევსვი  
მარხილსა. დავაკარი ბაგირითა,  
დავეშვი დაბლა. ადვილად ჩავედი. მერე მაღლა უნდა ამეთრია. მე-  
გონა ადვილად ავიტანდი გამძნელდა აზიდვა მარხილისა დავისვე-  
ნე.

ირმები უკან მომყვებოდნენ. დაღამებამდე მივათრევდი მარხილსა.  
ძლივს მივედი თავლასა.  
ვთქვი ისევ დავიხმარ ბაგირსა და საზიდარსა, ჩამოვიღებ ირემსა.  
თვითონვე დამეხმარა თავისივე წინა ფეხებითა.  
მივიტანე, დავუყარე. თითქოს დამშვილდა, მაღიანად ჭამდა თივასა.  
დავიღალე. ცოტას მოვითქვამ სულსა, მოგხედავ თქო, ვუთხარი ირე-  
მსა. მოვნახე ჩოხის ნაჭერი. შემოვუჭირე ორთავე ფეხსა, გარედან  
ჯოხები, ვითა ყავარჯნები დავამაგრე ბაგირითა.  
თივა და წყალი მივუტანე სამყოფი. მოვრჩი შუა ღამესა. დაგვეტე  
თავლა. შვევდი შინა.  
ვერ დავიძინე დიღამდე. დარდი მქონდა ირემისა. ნეტავ თუ გადარ-  
ჩება თქო, ხომ კარგად შევუკარი ფეხები თქო ვფიქრობდი. დილა  
უთენია მივევარდი თავლასა.  
ირემი მითამაშებდა კუდსა. ასე გამოხატავდა თავისივე მაღლიე-  
რებასა. მიხაროდა. მერე ვხუმრობდი: ირემების აქიმობა შევძელი თქო,  
გამოვედი გალავნის გარეთა. მოვიდნენ ჩემი ქორბუდეები.  
მთელი თვე მოვანდომე, თითქოს პატარა ბავშვი მყვანდა, ვეველებო-  
დი თავსა.  
ერთი თვე დადიოდნენ ირმები ჩემთანა. გავუშვი, კინაღამ ვიტირე იმ  
დღესა.  
ის ირმები დავხატე ფერდსა, მოჩანდა ჩემივე ციხიდანა.  
დამიბრუნდა სიცოცხლე. გავედი გარეთა. მოვძებნე ძე ბოკვერისა.  
დავიწყე წერა, გავაგრძელე ხატვა.  
ღმერთმა გამოგ ზავნა ჯოგი ირემთა.  
დიდება შენდა უფალო, დაილოცოს შენი განგება.

## მე ვარ

მე ვარ ქართველი პოეტი, რუსთველი.

მე ვერ დავიტირე თამარი, ჩუმად ვიგლოვე ვითა ეკადრებოდა მე-  
ფესა.

მე ვიპოვე თავი თომა მოციქულისა.

მე დავმალე კვართი უფლისა.

მე ვიპოვე ძველი გუჯრები, მეფეთა სიგელები, წყალობის წიგნები.

მე მოვიპოვე მოგვების წიგნები იერუსალიმსა.

მე შევიძინე ძველი ბიბლია, ძვირი მივეცი.

მე ვთარგმნე მათეს სახარება, ახალი აღთქმა.

მე ვთარგმნე პითაგორა, ელინი სოკრატე, ეზოპეს იგავნი, ციცერონის  
რიტორიკა, ფლავიუსი და პლატონის სახელმწიფო, სოფო-  
კლეს ტრაგედია.

მე ვთარგმნე სპარსული ლექსები.

მე დავასრულე ვეფხისტყაოსანი. ორმოცი წელი მოვანდომე დასრუ-  
ლებასა.

მე მოვხატე ტბასა გმირები ვეფხისტყაოსანისა, ვერ შევძელი დას-  
რულება.

მე დავითვალე ახალი ქართული კალენდარი, დონი დავარქვი კა-  
ლენდარსა.

მე მოვხატე ფრესკანი ტაძრებისა.

მე ვთარგმნე ფსალმუნი დავითისა.

მე დავწერე მეფე დავითის საგალობელი, გალობანი სინანულისა-  
ნი. მქონდა ბრძანება მეფე თამარისა.

მე ვთარგმნე ვეფხისტყაოსანი სამ ენასა.

მე იოანე ზოსიმეს სახელით დავწერე საგალობელი, ქებაჲ და დი-  
დებაჲ ქართულისა ენისაჲ.

მე დავწერე ისტორიანი.

მე ავაგე ეკლესიანი. მეფის სახელი დავარქვი ჩემივე თაღოვან ხი-  
დებასა.

*მე-ორჯერ აღვადგინე დაქცეული ციხე ხიხანისა.ციხის ახლოს ავაგე ახალი ეკლესია.ივანეს სახელით ავაგე ეკლესია ბაკოსა.*  
*მე-გავაძევე ლიპარიტი ბირთვისიდან და კლდეკარიდან. დავიცავი მეფე მათივე ვერაგობათაგან.*  
*მე-მივუგზავნე ზაქარია გაგელსა მისივე ნათესავი.ვითხოვდი და ეთმო ბოლნისი.ვაძლევედი ძვირსა.არ დათმო.წავიღე მეფის ძალითა.მამული დაუმტკიცა ყვარყვარესა.*  
*მე-მეფის ძალით დავიბრუნე დაქცეული ციხე არსიანისა.თამარმა მიწყალობა მამულნი ზემო აჭარასა.ჩემივე ხათრით ლორე ვარდანს გადასცა მეფემ.ლაშამ დაუმტკიცა მისივე ძესა მამული ტაშირსა.ლორეს ციხე სამკვიდროდ დაუმტკიცა ვარდანსა.*  
*მე-გავიყვანე საქარავნე გზები ბაკოსა, ხინოს ტყესა.*  
*მე-მოვიარე ძველი რომი.მივედი ვატიკანსა.ვინახულე ქანდაკება ფარსმანისა.*  
*მე-ენახე ძველი ათენი,ბაბილონი,ძველი ეგვიპტე,ასურეთი, ტროა, სპარტა.*  
*მე-მბულს,ვერ ვიტან ტირანსა,ვერცა ტირანიასა.*  
*მე-დავეუფლე ლათინურსა,ძველ ბერძნულსა,სპარსულსა.ვისწავლე სომეხთა ენა,ძველი რუსული,ივრითი,ცოტა მესმოდა თურქთა და ქურთთა ენისა.ათი წელი მოვანდომე ზანთა ენის დაუფლებასა.შევძელი სწავლა ხეთთა ენისა.*  
*მე-მინდოდა, ვერ მოვასწარი შესწავლა ფინიკიელთა ენისა.*  
*მე-გამოვარკვითე ფუძე ძველი აბაზასძისა,ჩემივე გვარისა.*  
*მე-დავადგინე გვარი იოანე ზოსიმესი,ჩორჩანელისა და ჩორდვანელი.ორივენი დაჩისძენი ყოფილან.*  
*მე-შევეუცვალე სახელი ჩემივე ძმასა.ვითა ვარდანსა,დავარქვი თავადი ქამადა.*  
*მე-ხუმრობით ვამბობდი:მამასა,ივანეს, ყუბასარი დავარქვი თქო.ერქვა მეჭურჭლეთუხუცესის,ყუთლუ არსლანის მამასა.*  
*მე-დავირქვი რუსთველი.მერე ვინმე მესხი,მერე ტბელი.მერე ამოვეფარე პაპის სახელსა.აბუსერისძე სახელია მამისა.მე ამოვეფარე*

მამის სახელსა. მოესწრო ლაშასა. დამხვდა საეპისკოპოსო სხალ-  
თისა და ზედა აჭარისა. წმინდა მიწას მოძღვარმა და-მარქვა მამა  
შო. ვიყავი პირველი ეპისკოპოსი სხალთისა და ზედა აჭარისა  
და კარის შემოგარენისა. მერე თამარის ასულმა არ ისურ-  
ვა, ზედმეტად მიიჩნია, წამართვა სახელი ეპისკოპოსისა. მერე  
დავითმა თქვა: დაგადგენ ვითა ეპისკოპოსსა სხალთისა და ზედა  
აჭარისა და პარხალისაო. ვიცი დაიცავს მეფე თავის პირობა-  
სა. ვერ მოვესწრები მეფის დაბრუნებასა.

**მე-**თავი არ დამიზოგნია, ბოლომდე ვემსახურე მეფესა, ჩემივე ქვე-  
ყანასა.

**მე-**ვარ მე ივანე აბუსერისძისა. მოდგმა ძველი მესხი თავადისა.

**მე-**დავიბადე ტობასა, პაპის სახლსა.

**მე-**გავიზარდე ტობასა. ჩემთან გაიზარდა დემნა, ვიყავი ძმადნაფიცი  
უფლისწულისა.

## მე მოვბრუნდი

მე-ვერ დავრჩებოდი იერუსალიმსა, ვერ ვიტყვებდი შორიდანა.

მე-უძილოდ დარჩენილი ვერას ვიქოდი სანუგემოსა. შველას ითხოვდა ჩემივე ქვეყნის უკუდმართი ბედი.

მე-მოვშორდი წმინდა მიწასა, მოვაშურე ჩემივე ქვეყანასა.

მე-სამი თვე მოვანდომე გზასა.

მე-ლაშა ვინახულე გელათსა, ქუთაისსა. ბრგე ვაჟკაცი. შვილის ნახვამ ამატირა, ვერ შევიკავე თავი. დიდი იყო, გეგონებოდა დევი დამდგა თავსაო. დამალა. მიხვდა გული მამისა. აუჩუყდა, ბურთი ჩაუგორდა გულსა. მეფე ვერ იკადრებდა ცრემლსა.

მე-ჩუმი ვაკვირდებოდი ქვევასა. მეშინოდა: ვაი თუ ძველებურად ცელქი დარჩა თქო.

მე-მომეწონა. დინჯი, მოზომილი, აზრიანი საუბარი მეფისა.

მე-საუბარი მინდოდა. მეტყველება ჩემი დარჩენოდა, თვალ-წარბი დედისა. მითხრა: მამა, უნდა მაპატიო, მივემგზავრებიო. მხარგრძელთა უკეთურებამ მოარყია ძლიერება მეფისა. სარგისმაც გვიმუხბოდაო. დარდი ნუ გექნება თამარისა, აქ ვერ ნახავო, საიმედოდ დავმალე, მანამ ხვარაზმელნი მოვლენ, თადარიგი დავიჭიროეო

მე-გამიხარდა, გზა გავატარე ფიქრსა. ვერ გადამეწყვეტა, სად დამემალა მეფის სამარე. თურმე უზრუნია ძესა ჩემსა, ლაშასა.

მე-მითხრა: დაისვენე. მერე გაემგზავრე ახალციხესა, ვუბრძანებ და გახვედრონ შენივე ციხეო.

მე-დავბრუნდები გინახულეზო, მითხრა და გაეშურა.

მე-ვიჯექი დაღონებული. ვფიქრობდი, რითი მეშველა ქვეყნისთვისა.

მე-სამი დღის მერე წავედი ახალციხესა.

მე-ვიყავი ტობასა, ვინახულე ნათესავნი, გავედი საძვალესა.

მე-ერთი კვირა დავრჩი იქა. მოვიარე მონატრებული ადგილები. მერე მივედი ციხესა.

...

ძუ ვეფხვი ჩემი მზე თამარია.  
მისივე თვეა მარჩბივი, ივნისი.  
რიცხვი-ცამეტი, წელი ვეფხვი (1166).  
ჩემი პირველი თვეა, ვერძი, აპრილი.  
რიცხვი ჩვიდმეტი, წელი ტახი (1151).  
თამარმა ხუთი ენა იცოდა.  
ჩემმა ძემან სამი, თამარმა ასწავლა.  
პირველი თამარი იყო მეორე რუსუდანი.  
მესამე შეეძინა მისივე მხევალთანა. ეცადა დამალვასა. რუსუდანი  
დაარქვა მესამე ქალსა.



## ათი მცნება

ათი თავი, ათი სტრიქონია.

ათი-ვე მე დავწერე, ათივე გადავწერე.

ათი-ვე თავი მოვრჩი. ათი დღე მოვანდომე დაწერასა.

ათი-დღე ვიჩხრიკებოდი. ათი დღე ვითვლიდი კაბალითა.

ათი-დღე თოვდა ვერ გავედი გარეთა.

ათი-მინიშნება დავტოვე ქებასა ენისა.

ათი-(და) დავუწერე წინ ყველა თავსა. თავები ასე დავყავი.

ათი-გასაღები დავმალე ენისა და ანბანის ქებასა.

ათი-ხერხი გამოვიყენე ენისა და კაბალისა.

ათი-თავია სამალავი მათეს სახარებისა.

ათი მცნება. ვერ დავიცავი ათივე დავარღვიე.

ლოცვა, ვითა ეპიგრაფი, ჩემივე დაწერილია.

მე ვიპოვე იოანე ზოსიმე. ვიპოვე მისი ხელნაწერები, ვიწვალე, გადავწერე. თვითონვე მივართვი თამარსა.

თურმე კარგად ვერ წერდა, უჩიოდა თვალსა. ყოფილა მცველი თომა მოციქულის თავისა.

თურმე ბევრი უწვალინა. ცოდნია ზანთა წიგნი. ზანთა ქარაგმა. პირველი იბერიული ნიშანი და კალენდარი. ასომთავრული პეტრე იბერიელისა. ცოდნია ახალი ქარაგმა იბერიელთა.

თურმე ათი წელი მოანდომა ახალი ნიშანის შექმნასა. გავწამდი, ვერ ვხედავო. მისი ხათრით ათი ვითა კველი დავდგი ქებაის ძირსა.

თურმე ზოსიმე დაბადებულა ივლიტასა. ძველი გვარი ჩორჩანელისა ჰქონია. ერისკაცობაში ივანე რქმევია. მე გიორგი ჩორჩანელი-სა.

წამოვედი დაბასაო. თურმე ადრე დისი რქმევია სოფელსო. ჩემივე გვარის კაცთა ჰქონიათო მიწა.

დავიწყე ეკლესიათა შენება. თვრამეტი ეკლესია ავაშენე, ოცამდე შევაკეთეო.

## ვერაგი თვე

**პირველი მაისი**-მომიკვდა თამარი.ვერ დავიტირე, ჩუმად ვიგლოვე.  
მე ჩუმად ვიყავი მეფე თამარის საყვარელი.  
მე ვალმერთებდი თამარსა.საკუთარ თავზე მეტად მიყვარდა  
**ცამეტი იანვარი**-დავკარგე ჩემივე შვილი ლაშა.დავკარგე ერთად-  
ერთი შვილი.ვერ დავიტირე.ჩუმად ვიგლოვე.  
მეორედ დავკარგე რწმენა.მეორედ დაკარგა ფასი ჩემთვის ყოველ-  
მან.დავრჩი მარტოდ მარტო.მეორედ მიხსნა უფალმა,ირმეზმა გადა-  
მარჩინეს.  
**ჩვიდმეტი ივლისი**-მომიკლეს დემნა.წამართვეს ერთადერთი მეგობარი.  
სიყრმიდანვე შეზრდილი ძმადნაფიცი.  
**თექვსმეტი ივლისი**-ლაშას მოუკლეს ერთგული მეგობარი, საყვარე-  
ლი ქალი, დედა მემკვიდრისა, სუსანა.  
**ოცდარვა ნოემბერი**-დღე დარიალის ხაფანგისა.  
**ცხრამეტი ივლისი**-დღე მამა იოვანეს(ზოსიმე) სიკვდილისა.  
**ჩვიდმეტი სექტემბერი**-დღე ქართველთა სირცხვილისა.  
**პირველი ივლისი**-დღე ჩემივე ციხის დაქცევისა.ვერაგმა პირველად  
დააქცია ციხე ხიხანისა.

## ზედა ტბა

*მე-ზედა ტბასა მოვხატე თამარი.*

*მე-ტბასა ზევით,დასავლით მოვხატე ტარიელი.თავსა ოტარიდი.  
თევზი.*

*მე-მოვხატე შვილი ლაშა.ორი გული.გვერდსა შავი ცხენი.გულსა  
ვზი.*

*მე-დავხატე დავარი.*

*მე-გავაკეთე მშობელთა საძვალე ტბის თავსა.შავი პატარა ტბა, ჰგავს  
ცრემლსა*

*მე-ჩემივე მშობლები და ობოლი მართა გადმოვასვენე ტობადანა.*

*მე-ვერ გადავასვენე თეკლე დარჩა ჭულესა,მონასტრის სამარხსა.  
დემნა მარტოა,*

*მე-გადმოვასვენე დედა.მამასთან ერთად მარხია.ობოლი მართა,  
მარტოა.*

*მე-მინდოდა სხვა ნათესავთა გადმოსვენება.*

*მე-ვერ მოვასწარი, მოვიდა ჟამი ჩემი აღსასრულისა.*

*მე-ჩემი ნებით მივდივარ მონასტერსა.წმინდა მიწასა.*

*მე-ვტოვებ,ვემშვიდობები მშობლიურ მთასა და ბარსა.*

*მე-ვკოცნი და ვეამბორები ჩემივე მიწას.ვტირი ვითა ბალლი მოწყვე-  
ტილი დედის კალთასა.*

...

*ცოტნე მოვიდა ჩემთან სტუმრად.ნაღვლიანი მეჩვენა.*

*ღვინო დავალევინე.დაღამებამდე წავიდა.*

*დავცინე ჩემივე ცოლსა,ცოტა ბოცოსა,ცოტა ვარამსა.გული ვატკინე  
ბაგულსა.ცბიერი გველი,ჩემი ნათესავი,გაგელი.*

*ჩემი ცოლი მემნას ქვრივია.*

*ჩვენ სახლი გვექონდა ტობასა.*

## დავკარგე თამარი

თამარი თავისი ნებით, დრო და დრო მოდიოდა ჩემთან მთასა.

ღამე ფარულად მოდიოდა ციხესა. ძალზედ ლამაზი და მგრძობი-  
არე იყო. გრძობდა როგორ მიყვარდა, ვალმერთებდი. ზაფხულს რჩე-  
ბოდა ხიხანსა.

ვიდრე თამარი ჩემთან იყო, დედა ვანენტან მიდიოდა.

გარდაიცვალა მაისის პირველსა 1215 წელსა.

-მართლა მიყვარდა თამარი. მეტად ვიდრე ჩემივე თავი. მზად ვიყავი  
მისთვის სიცოცხლე დამეთმო.

-ვერ ვიტან იანვარის ცამეტსა, დღესა ლაშას სიკვდილისა. მშულს.

-დემნა მყვანდა ვითა ძმა, თეკლე ჩემი ნათესავი, ვითა ღვიძლი და.

-ვარ ქართველი თავადი, ერისთავი აჭარისა

-დავიბადე ვერძის ნიშნითა.

-შემძრა ჩემივე მზის, თამარის, სიკვდილმა,

-ჩემივე სიცოცხლე მიჰყვა სიკვდილსა მეფისა. მოვიძულე, დავგმე  
დღენი ამა სოფლისანი.

-ხელი ავიღე თავზედა. მოვიძულე მტერი და მოყვარე. ვიდოდი ვითა  
ხორცი უსულო.

-დავკარგე რწმენა ღვთისა, ვიყავი მარტოსული. მოძრავი ლეში.

-გადმომხედა, დამინდო უფალმა. დიდება მის სახელსა და მადლსა.

-მჯერა უფალმა მოილო წყალობა ჩემსა ზედა. მოვიდა ვანენ, დაი ჩე-  
მი, ძე-მეფე ლაშა-გიორგი.

-მაიძულეს წასვლა მონასტერსა იერუსალიმისა. მეათე დღეს მზა  
მყვეს. გავედი ხიხანის ციხეს ვითა თავისივე ფეხით მიმავალი სამა-  
რეს მიმავალი მკუდარი. მეფის ამაღლა მიმაცილებდა გზასა. შევედი  
იერუსალიმსა, მონასტერსა შინა.

გზა გრძელი, დამქანცავი. გავტეხე უძილო ღამენი. (1217) წ. სექტემბე-  
რი. მაკურთხეს ვითა ბერი.

-მონასტერმა, ლოცვებმა, ღვთის მსახურებამა, დამიბრუნა რწმენა  
სიცოცხლისა.

ახლიდან შევიგრძენი ამოება ამა საოფლისა.ჩავაბარე აღსარება მოძღვარსა, მოვინანიე.

-ცრემლით ვთხოვდი უფალს მიეტევებინა სისუსტენი და ცოდვანი ჩემნი.ვპოვე სიმშვიდე სულისა.

-ხვარა ზმელთა თარეშმა მაიძულა მობრუნება.(1222)წ სექტემბერსა.

-ათი მცნებიდან ათივე დავარღვიე.

ვარ ცოდვილი.

ვარ ღრმა სინანულს მიცემული, უღირსი მონა უფლისა.

მდუმარე ბერი.

თვალცრემლიანი, ჩუმად, მდუმარედ ვინანიებ ჩადენილ ცოდვებსა.

ვევედრები უფალსა მომიტევოს შეცოდებანი ჩემნი.

აი ჩემი აღსარება უფლის წინაშე.

მაღალო ღმერთო, უფალო ჩემო, ღრმა სინანულით მოველ წინაშე შენსა,

მომიტევე ცოდვანი ჩემნი.

ამინ

## მეფე დავით V

დემნა ყვარყვარეს დის შვილი იყო.

პატარა ბაღლი ხელსა აყვანილი მოიყვანეს ტოზასა.

დემნას მამსა, მეფე დავითსა, ივანეს სიძვის დიაცმან, ვახვახის ასულმან. მალულად დააღევინა შავი ასპიტის შხამი.

- ცოდნია ჩემივე დასა, ვანენსა. მანამ პატარა ვიყავი დამიმალეს.

თურმე მანამ ღვინოს დაღევედა, სთხოვა ნათელას მოყვანა უფლისწულისა. აიყვანა ხელსა, მოეფერა, დალოცა. მერე დასვა. დალია მზაკვარი ფიალა ამა სოფლისა.

ცოტა ხნის მერე ხველა ატეხია. ცივი ოფლი სდიოდაო. ხმა წაერთვაო.

დამბლა დაცემია. მალევე მომკვდარა.

მანამ მოკვდებოდა დემნა მოუკითხია.

დალახვროს ყველანი. მომკლესო უთქვია. შველას ითხოვდაო, დემეტრეს ეძახოდაო.

თურმე შვიდსა ენკენისა განუტევა სული.

ინანა ყველამ. ზღო საქციელი მზაკვარი ხელისა.

მანამ წავიდოდი, შევეუნდე ყველასა.

## მე დავტოვე

დავტოვე ყველაფერი.

სახლი ტობასა ვაჩუქე გერსა, ბაგულის შვილსა.

მანამ წავალ მინდა ვინახულო, ტაო, ვარძია, ოშკი.

წმინდა სანთლებს დავუნთებ შვილსა და თამარსა.

გადამიყოლა დარდმა ლაშას შვილისა, დავითისა. არ უჩანს ბოლო  
ვერაგობასა:

ზღო ლაშას მკვლელობა. დავხატე ხროვა, გველი, ასპიტი, ტახი

...

თამარის დანი ურთიერთს მტრობდნენ. ორივე მზაკვარი ყოფილა.

იოანე ზოსიმეს ერისკაცობაში ივანე რქმევია.

იოანე ზოსიმეს ლოცვა შოთა-ტბელის მოგონილია.

იოანე ზოსიმეს მთავარი დამსახურება ქართული ანბანის დასრუ-  
ლებაა.

ანბანის მოხატვას დაეხმარნენ ჭიმჭიმელი და ზედაზნელი.

თურმე ზოსიმე ბერად ჯდა აჭარასა. დისსა (დაბა).

რუსთველი და ტბელი ორივე მოგონილია, ვიცრუე.

მბულს ცამეტი რიცხვი, შვილის სიკვდილის დღეა.

ზედა აჭარა მოვხატე თბილი ფერებითა.

თეკლეს მონაზნობასა შინა ცუატი ერქვა.

ვარძიას მოვხატე მეფე თამარი.

დარაჯთაგან კარი იქნა ღიად დატოვებული,

მოკლეს ივანე თურქთა. ცბიერი ლიპარიტის მეოხებითა.

თამარმა ბევრი ითმინა ცოდვანი გიორგისა.

## ზნეობა

ელინი სოკრატე და სოფოკლე დიდი მოაზროვნენი არიან.

მეფე და ტირანია კლავს განვითარებასა.

არ დაბადებულა ზნეკეთილი ტირანი.

ბოროტება შობს ბოროტებასა.

დაბერდა დავარი, არ მოიშალა ავისა ქმნანი.

მოწამლეს დავითი, დაიბადა დავარი.

ორბელმა ზღო სიცოცხლითა. დაისაჯა მისივე ძე. დაკოდეს დემნა,

დასაჯეს სოსლანი, გაიზარდა ასული, ბევრად მზაკვარი.

მოკვდა დავარი, დაიბადება ვინმე ბოროტი, მისივე მსგავსი.

კიდევ ვინმე ბოროტი დაისჯება საკადრისად,

არ მთავრდება. არ აქვს დასასრული ვერაგობასა.

კვდება ერთი, იბადება მეორე.

ერთმა ჩაიდინა, ბედავს მეორე.

დასაჯა მეფემან, დაისაჯა მეფე.

იკადრა მშობელმან, იკადრეს შვილთა.

სად იპოვება არსი?

არსი დევს აღზრდასა შინა.

მშობლებმა შვილის აღზრდა ზნეობის სწავლებით უნდა დაიწყონ.

ვითა საკვები, ვითა წყალი, დააპურონ ზნეობითა.

**ზნეობა ღირსება სამშობლო.**

დაკარგული სამშობლოს დაბრუნება შესაძლებელია ღირსებითა.

ვერ ექნება ღირსება უზნეო კაცსა, ვერცა ქვეყნის პატრონი გახდება.

უზნეო, უღირსი ხალხი, ვითა ჯოგი ღორისა. დამრჩის ფაშვის ჩასაქოლად.

დღესა თუ ღამეს სდევს შიში და ძრწოლა, მანამ არ მოუღებს ბოლოს მგელი თუ აფთარი.

ადამიანი ზნეობას მოკლებული, ვითა ნადირი და ვითა ტყიური.

ზნეობის დაკარგვით იწყება დაცემა და დაქვეითება, ბოლოს სასჯელად გადაგვარება.



ღირსეულისა სამარე სჯობს, უღირსისა სასახლესა.  
კრულია დედა ღირსების გარეშე.  
დაკარგულია შვილი ზნეობას მოკლებული.  
ადრე სიკვდილი ჯობია, გვიან ღირსების დაკარგვასა.  
დაკარგული ღირსება იგივე სიკვდილია, უფრო მძიმედა საშინელი.  
უღირსის სიკეთე არ დაიჯერება. სიკეთე ბუდობს ზნეობასა.  
ერის გახრწნა მოასწავებს ბერის გახრწნასა.  
ბერის სიკვდილსა მოსდევს სიკვდილი ერისა.

## გამოთხოვნა

-ვერ ვიცანი ვანენი, თვითონ მიცნო. ცრემლი მომადგა თვალთა.

...

თვენი და ვერაგი დღენი. სასჯელნი და მსაჯულნი. ვითა ჯალათი-  
მსხვერპლი და მსხვერპლი-ჯალათი. ხიდი და მდინარე. დრო და  
სიცოცხლე. მოსვლა და წასვლა. ამოება ამა სოფლისა.

დემნა, თეკლე, ივანე, თამარი, ვანენი, ვახახი, ცაცი, ცუარი, ნაზი,  
მართა, ხათუთა, ლაშა, ვარდანი, ნაზი... კიდევ მრავალი.

დაიქცა აგებული. აიგო დაქცეული. მობრუნდა წასული. წავიდა მო-  
სული. გავიდა ცხოვრება. დარჩა ზნეობა.

ქმნილი და ნათქვამი. ხელი და სახელი.

...

შარშან ვიყავი ფლატესა, ტობასა. ვესტუმრე ყვარყვარესა.

-ველარ შევხვდები ლაშას შვილსა. იფიქრებს მივატოვე.

მიწა მივაყარე მამის სამარესა, ავიღე, მიინდა წავიღო.

-მინდა შემინდოს დემნამა, თეკლე დავტოვე მარტო.

-სამუდამოდ ვტოვებ სამშობლოსა, ვტოვებ მშობლიურ მთასა და ბარ-  
სა

სამეფოს ვუტოვებ ნარინსა და ლაშას შვილსა, ვტოვებ ყველაფერსა.

-სამოსელის ამარა მივდივარ მარტოდ-მარტო.

ღმერთსა ებარებოდეთ.

ამინ

## თურმე

თურმე-ტობას დაიბადა ბოცოს დაი,ნათელა.დედა დემნა უფლის-  
წულისა.ღმერთმა დაუმკვიდროს სასუფეველი მეფე და-  
ვითსა,ბოცოს სიძესა.

თურმე-დაკრძალეს თავისავე მამულსა საფარასა.

თურმე-ოცდარვა აგვისტოს,მარიამობასა სტუმრად სწვევია ორბელ-  
სა,თავისივე მამულსა,აბოცსა.

თურმე-ივანემ უთხრა მეფესა:შავი დღე მომელოს,რამე რომ დაგი-  
შავდესო.

თურმე-შეცბა ბოცო.უთხრა სიძესა,მეფე დავითსა,ესენი ხაფანგს არ  
გვიგებდნენო.

თურმე-მეფემ უთხრა თუ მომწამლეს,ნუ მიეკარები ღვინოსა.ძესა,  
დემეტრეს მიხედო.

თურმე-უთქვია:ჩუმად შეგარტყამ ხმალსაო,თუ მომწამლეს, გაღწევა  
შედლოო.რომ გავაწბილო ორბელი,ბევრად საშიში იქნებაო.

თურმე-თამადა, ბოცოს მტერი ჩახრუხასძე ყოვილა.

თურმე-იმ ღამეს ბოცოს წვეთი არ დაუღევია.

თურმე-ჩამოდგა თამადა,მოითხოვა თასი ღვინისა.შესვა უფალი მე-  
ფის სადღეგრძელო,მერე გადააწოდა ორბელსა,იმას გამოოუ-  
ცლია თასი.

თურმე-ბოცომ კრძალვით უარი თქვა,ღვიძლი უთქვია მიზეზად.

თურმე-მეფემ მადლობა შესწირა.ბოლომდე გამოსცალა თასი.

თურმე-ცოტა ხნის მერე მეფე შეუძლოდ შექმნილა.

თურმე-მერვე დღეს განუტევა სული.

თურმე-მოწამლეს მეფე დავითი.

თურმე-ივანე ორბელის სიძვის დიაცმან ასპიტის შხამი გაურია ღვი-  
ნოსა.

თურმე-ბოცო წვალებით დასხლტომია.ღამე გასულა სამშვიდობო-  
სა.

თურმე-შეუთვალა ორბელსა:ჩემი სიძის სიცოცხლეს გაზღვევინებო.

*თურმე არ უფიქრია ბოცოსა. ღამე დაცემია. წაუღია ტაშირი.  
თურმე მეფე დავითის ძმამან, ობოლი უფლისწული მიაბარა ივანე  
ორბელსა. იმან მოიყვანა ტოზასა*

..

*დავასრულე ახალი ქართული კალენდარი, ქრონიკონი (1233).*

*ქართული ვაი და ქართული ვუი  
ჭორნი და მართალნი*

*თურმე-უთქვიათ, კარგად არ მცოდნია ქართული.  
თურმე-დემნას ქვრივი, თეკლე არ წასულა მონასტერსა.  
თურმე-მე-დამიღუპნია თამარი.  
თურმე-მომიპარნია საჭურჭლენი ქვეყნისა.  
თურმე-კინალამ მომიკლავს თამარის დაი, რუსუდანი.  
თურმე-მე-ვურჩიე ამზოხი დემნასა.  
თურმე-ვულაღატე ლაშასა.  
თურმე-არ მყვარებია არავინ, არცა თამარი.  
თურმე-არ მყოლია შვილი.  
თურმე-ავიკელი შაოსანი დედა და დაი ვანენი.  
თურმე-უარყვავი ქრისტე, დავგმე უფალი.  
თურმე-მეფესა თამარს მე მოვუკალი შვილი.  
თურმე-არ ვიყავი პოეტი.  
თურმე-მუდამ ქონების მოხვეჭას ვესწრაფოდი.  
თურმე-მოვარღვიე ბჭენი ციხესა არსიანისა.  
თურმე-არ მიღუაწია ქვეყნისთვისა.  
თურმე-მომიპარავს კალენდარი.  
თურმე-გავექეცი ხაზართა შემოსევასა.  
თურმე-არ დავიცავი მეფე თამარის სახელი.  
თურმე-წავართვი ციხე ვარდანსა.  
თურმე-გავურიგდი ლიპარიტსა.  
თურმე-არ დავიცავი სახელი მეფე ლაშა-გიორგისა.  
თურმე-ვერ დავიცავი სიცოცხლე ლაშას ძისა.  
თურმე-არ მივსულვარ კარსა დიდი ხანისა.  
თურმე-არასდროს მიღვაწია ხიხანსა.  
თურმე-დამიკარგნია ხელნაწერნი დაბელი ბერისა.  
თურმე-მცოდნია სამარე მეფე თამარისა.  
თურმე-არ ვუპატრონე სამარხსა ლაშას ცოლისა.*

თურმე-გავურვიგდი რუსუდანსა, თამარის ასულსა.  
თურმე-მცოდნია დავითის ჩაგდება დილეგსა.  
თურმე-დავითი მოუძებნია რუსუდანის ხალხსა.  
თურმე-არ ამიგია ხიდები, დამიქცევია ეკლესიანი.  
თურმე-გამიყიღია ციხე ხიხანისა.  
თურმე-ბოლომდე ვუმტრე ზაქარიასა, ვარდანის ძესა.  
თურმე-დამიკარგია სიგელ-გუჯრები მეფე თამარისა.  
თურმე-არ მივსულვარ წმინდა მიწასა.  
თურმე-არ შევხვედრივარ სალაჰ ედ დინსა.  
თურმე-ორივე დავითი გამოუხსნია მეფე რუსუდანსა.  
თურმე-მომიპარავს სახელი ტბელისა.  
თურმე-არ დამიცვია სახელი დაბელი ბერისა.  
თურმე-წამიღია, დამიმალავს სიმდიდრენი იერუსალიმსა.  
თურმე-დავხარბდი ვერავის სიტყვასა, მიძებნია სამარხი მეფისა.  
თურმე-მცოდნია ამბავი ხაფანგისა, არ დამიტორია ძე მეფისა.  
თურმე-მცოდნია ამბავი მხარგრძელთა ვერავობისა.  
თურმე-ვაზღვევინე ჩემივე ქვეყანასა, მცოდნია დღე გარნისისა.  
თურმე-მევე მომიყვანია ჩემივე ციხის დამაქცევარი.  
თურმე-მომიგონია ამბავი ჩემივე ციხეს მკვლეულთა მოგზავნისა.  
თურმე-მოვუკვეთივარ ლაშასა, მოვბრუნდი, ვაზღვევინე მეფესა.  
თურმე-სპარსთაგან მომიპარავს, მითარგმნია სხვისი პოემა.  
თურმე-არსად მიხსენებია სახელი ჩემივე მოდგმისა.  
თურმე-მეფე გიორგის ჯავრი ვაზღვევინე მეფე თამარსა.  
თურმე-თამარის სახელით არ ამიგია ეკლესია წმინდა მიწასა.  
თურმე-არაფერი მცოდნია ზანთა ქარაგმისა.  
თურმე-ვერ მიპოვია სამარხი პეტრე იბერისა, დაბელი ბერისა.  
თურმე-არ ვყოფილვარ ეპისკოპოსი სხალთისა და ზედა აჭარისა  
თურმე-ვიყავი საცოდავი, მიუსაფარი. ვერ დავიცავდი სახელსა.  
თურმე-გადავყოლივარ ჩემივე სიხარბესა.  
და  
თურმე-ბოლომდი მივსდევდი ავხორცობასა.

თურმე-დაუწყველივარ ჩემივე მოდგმასა.  
თურმე-ალარ ვყოფილვარ მოკვდავთა შორისა.

...

ძველსა მოსდევდა სროლა ახალი ტალახისა. ახალი ფარავდა ძველსა. ვიცი დრო ჩამორეცხავს ჩემივე ხალხის ნასროლსა ტალახსა. ვიცი დრო ულმობელი მსაჯულია კაცისა. ვიცი დრო დაარქმევს სახელსა.

ვიცი დრო დაიცავს სიმართლესა.

ვიცი მუდამ იქნება ხმა უმადურისა.

ვიცი უმადურობა ვერ დასძლევს ძალასა მადლიერებისა.

მივუტევე ხელსა ტალახის მსროლისა. ჩამდენსა ვერაგობისა.

ვევედრები უფალსა მომიტევოს შეცოდებანი ჩემნი

ამინ

## მოხატე მთასა

ჩემი პირველი ნახატი ავთანდილია. მერე ტარიელი, ქვევით მისივე ცხენი. სამი თვე მოვანდომე, წვიმდა, ჩრდილი არ აჩნდებოდა მიწასა. ზემოთ ირმის თავი. მყვირალა ხარი მთეებისა. ვლემკურნალე ციხესა. მთვარის წრე დიდია. მზის ჩასვლა აჩენს მთვარესა. მთის თავსა ოტარიდი.

დაბლა ფერდსა დონი. ჩემივე მზისა და მთვარის კალენდარი. მე-დონი მიპყრია ხელსა. დონის თავსა ორი ქორბუდა ირემი. ვზი დაბლა, გული მარტყია გარსა.

ზევითდემნა. წინ, ფერდსა დასავლით ორი ცხენი.

დაბლა ტბასთან ასპიტი გულსა შემოხვეული.

ფარდას დასავლით ორი მონა ზანგი.

მზის ჩასვლას დიდ მთვარეს გამოსახავს ტბასა.

გზის ქვევით მევე ანაფორასა. ქუდი თავსა, ანაფორა წითელი ფერისა, ქუდი თეთრი.

ფარდასა დიდი ვეფხვი. მოჩანს გალავანი ქაჯთა ციხისა.

აღმოსავლით მეფე თამარის ყელსაბამი.

გზასა ქარავანი ჯორ-აქლემითა. წინ სპილო მიუძღვის.

მე ვზი ჯორსა ამხედრებული. თავსა თეთრი ქუდი.

ქვედა ტბის ზევით ფერდსა მალლა მიუყვება ბაწარი. დასავლით უხვევს ფერდის თავსა. გზა ასო ნიშანი ლასია

ფერდის დასავლით დიდი ლოსი. ახვევია ხროვა მგლებისა.

ლასის ზევით მე, მიმავალი გზასა, თეთრი სპარსული ქუდითა.

წინ ლამაზი ძროხა და ზორბა დათვი.

ზემოთ ზორბა ქოფაკი, წინ აფთარი.

დაბლა გზამდე გალავანი ციხისა, შიგნით ვზი ხუჭუჭა თმებითა, დაღონებული.

ტბასა ორაგული, წყლიდან აფრენილა ცასა.

ციხის მალლა ხევის პირი ტანი ზაქისა, ზაქის თავსა ხარის ნიშანი. ფონი თეთრი. ზაქი სახლი ხარისა.



## ვარ მხატვარი

ბოლო თვრამეტი თვე აუტანელი ტკივილი სტანჯავდა მეფე თამარსა. მანამდე მეფედ აკურთხა ლაშა. მერე მოკვდა.

მენატრებოდა. არ შემეძლო მალიმალ მისვლა. ვლფრთხილდებოდი მეფის სახელსა. ცოცხალი ვეღარ ვიხილე.

მართლა გულით მიყვარდა. ვალმერთებდი. მყვანდა ვითა მეგობარი. ჩემთვის იყო ყველაფერი.

მოკვდა მეფე თამარი. თურმე არ იგლოვეს ყოველთა მხარეთა.

დაასვენეს სვეტიცხოველსა. მუნ იგლოვეს სამი დღე. მერე გადაასვენეს გელათსა. იგლოვეს. მუნ დამარხეს მესამე დღესა.

თამარის ფრესკა სიყვარულით მოვხატე ვარძიასა, საფარასა, ბანძასა, დოლისყანასა, მარტყოფსა, გრემსა.

დავრჩი მარტო სული. ვიყავი ვითა გრძნეული. მრავალი ჭირი გადამხდა თავსა. დიდება უფლის ძალასა, გარდასული მომაბრუნა. პირობა მივეცი მეფე თამარის ხსოვნასა. ბოლომდე დავიცავდი მისივე სახელსა. მერე ვითა მეომარსა არ დამიყრია ფარხ-მალი. მიზნად დავისახე ბრძოლა ჩემივე აღსასრულამდე. ხან მთასა მეძინა, ხან ბარსა. ფეხსა მდგარსა ჩამძინებია დაქანცულსა.

მოკვდა ლაშას ცოლი, მომიკვდა ლაშა.

ნაწვიმარი ტანზე მაშრებოდა, ყინვასა და სიცივესა. შზის ხვატსა თუ თქეშსა, ვაგრძელებდი მოხატვასა. მხარი მეღრძო ვარძიასა. ფეხი მოვიტეხე მზვარესა. ქამარსა ზედა მქონდა ასხმული ფერთა კრებული. მოვხატე საცა შევძელი.

ვერ დავრჩებოდი იერუსალიმსა. ხვარაზმელთა მოსვლამ მაიძულა მოვბრუნებულიყავი. მოვედი ჩემივე ქვეყანასა. მტერმა იავარყო სამეფო. ყველგან ისმოდა ქართველთა მოთქმა.

მეფე ლაშა ებრძოდა მტერსა. მოკვდა. ვერ შევძელი ხილვა ჩემივე რძალისა. მხარგრძელთა ღალატმან შეარყია მეფის ძლიერება. მოღალატენი ჩასაფრებულნი იყვნენ ყველა კუნჭულსა.

წავედი ხანის კარსა. დავაბრუნე მემკვიდრე ტახტისა.

## ილხანთა სამეფოსა

წავედი ილხანთა სამთავროსა. ვითა ელჩი და ვითა პატრონი.  
მომიხდა მარხვის ჩაგდება. მივედი ვითა დესპანი მეფისა.  
პატივით მიმიღეს ილხანთა სამთავროსა. თურმე ცოდნიათ ჩემივე  
სახელი.  
მოვიდა მაცნე მათივე პოეტისა, ხაფეზისა (იბნ ბალხი). მომახსენა მი-  
სივე დანაბარები: პატივი იქნება თუ ესტუმრებითო.  
პასუხად შევუთვალე: მოუთმენლად ველი დიდ პოეტთან პირის-  
პირ შეხვედრასა, უცილოდ გესტუმრები თქო.  
მანამდე ჩემივე მხლებელთა ჩუმად მოვაკითხინე ამბავი ქართველი  
უფლისწულის დაკარგვისა.  
მათვე ოსტატურად გამოარკვეეს ყოველივე. მოიტანეს ამბავი.  
თურმე მეფე რუსუდანსა დავითი გაუგზავნია ილხანთა მთავარ-  
თანა. უახლებია ვითა კაცი თავისივე შვილის ამალასა.  
მიუწერნია ვერაგული წერილი სულთანისთვისა: ვითომ უფლის-  
წული დავითი, თამარის საყვარელი ყოფილა. ახლა გამოჩნდა. მო-  
კალი, დამარხე ვითა მონაო.  
გაჯავრებულა სულთანი. დაუპირებია მოკვლა დავითისა.  
თურმე მეფის ასულმა დიდი ძალისხმევით გადაათქმევინა, დიდ პა-  
ტივს სცემდაო სულთანი ცოლსა.  
შეუტყვია რუსუდანსა. თურმე ახალი წერილი მისწერა სულთანსა:  
ნუ ენდობი თამარსა, მისივე საყვარელსა ფარავსო.  
აღარ გაუჭრია ცოლის თხოვნასა. ამოათხრევინა დიდი ორმო, ჩააგ-  
დო თურმე უფლისწული დავითი. ზევიდან დიდი ქვის ლოდის  
დადება უბრძანებია სულთანსა: მისი საქციელი წამებით სიკვდილს  
იმსახურებსო.  
წაუყვანიათ უფლისწული. ჩაუგდიათ ხაროსა.  
შვიდი წელი გასულაო. მკვდარი იქნება, ვერ გაუძლებდაო.  
რას წარმოვიდგენდი ასე შორს წამოსული, გავიგებდი ამისთანა ვე-  
რაგობასა. ჯერ შვილი წამართვეს, ახლა შვილიშვილს მისდგომიან.

არაფერი მცოდნია პაპასა. თურმე ვერ დამიცვია კაცი, მემკვიდრე ჩემივე ძისა. მერამდენედ მიმუხთლა საწუთრომ. მერამდენედ წამერთვა ხელ-ფეხი, მერამდენედ მომკლეს ცოცხალი.

საკვირველია საქმენი უფლისა. მქონდა ძალა ფეხსა დგომისა, ძალა დასაცავი მოდგმისა.

არ მსურდაა ნახვა ხაფეზისა. არცა გატეხა პირისა. პირობა მიცემული მქონდა. გადავდე, მოვუბოდიშე. ასაკსა ვარ. მგ ზავრობამ დამლალა. შეუძლოდ ვარ დავისვენებ. უცილოდ გესტუმრები თქო.

მერე მოვიდა ვინმე ყრმა. პირდაბურული. დაუყოვნებლივ ითხოვდა ჩემთან საუბარსა. არავის ნახვა არ მსურდა დალონებულსა.

თურმე ყრმა დაჟინებით ითხოვდა ხილვას მეფის დესპანისა.

ძალზე მნიშვნელოვანი სათქმელი მაქვსო, სხვას ვერ ვეტყვიო.

მოვიხმე ჩემთანა. უჩვეულოდ ღელავდა. თავს ვერ უყრიდა სათქმელსა, ტიროდა. თვალთაგან ცრემლნი ღაპაღუპით ჩამოსდიოდა. დავამშვიდე. თქვი სათქმელი თქო.

თქვა: მე ვარო უფლისწულის, დავითის ყოფილი მონაო.

უფლისწული ცოცხალია. რომ შეიპყრეს, ჩუმად მივსდევიდო. ვნახე ადგილი, საცა ხარო არისო. მას მერე, ყოველ შაბათს ღამე მივდივარო. პურსა და წყალს ვაგდებ ჩემივე ხელით გათხრილ ხვრელსაო.

თუ დაიყოლიებ სულთანსა. ადგილსა გაჩვენებო.

ჯავრი სიხარულმან დამავიწყა. არ მომრიდებია, პირველად ავტირდი დაუფარავად. ახლა სიხარულმა წამართვა, ხელ-ფეხი. ბოლომდე არ მეჯერა, არცა ვკარგავდი იმედსა.

თავი ზღაპარსა მეგონა. გავადვიძე ჩემივე მხლებელნი. წავედით ხაროს სანახავადა.

ცხენები შორს დავტოვეთ. მივიპარენით. ჩუმად ჩავსძახე ხაროსა. ხმა მომესმა. ცას ვეწიე სიხარულითა.

ყრმამან თქვა: არ გვიგრძნონ დარაჯთაო. ჩუმად გავერიეთ ბნელსა.

მაცნე გავუგ ზავნე ხაფეზსა. შემიძლიან თქვენი მონახულება, თუ ინებებ თქო.

მივედი ხაფეზთანა. მოწიწებით წამოდგა. გადამეხვია. განუცხადა:  
პოეტთა შორის უპირველესი, თვით შოთა რუსთველი მეწვიაო.  
თვითონ ფეხმორთხმით დაჯდა. დაბალი შალის შეკერილი სკამი  
შემომთავაზა. როგორმე მოვახერხე დაჯდომა.  
მომიკითხა. როგორ ხარო, დაგლალა ალბათ მეზავრობამაო.  
მადლობა მოვახსენე. მოვიკითხე, შევუქე კალამი.  
გარჯილხარ, ამოდენა გზა გამოგივლია, ფრიად მნიშვნელოვანი საქ-  
მე გქონიაო.  
მოვახსენე: მოლაღატეთა მიერ დაგებულნი ხაფანგით, ვერაგი ცილის  
წამებითა, თქვენსა პატრონსა შეუპყრია ჩვენი უფლისწული, დავი-  
თი. მივედი ვითა დესპანი მეფისა, რათა ვითხოვო დიდი სულთან-  
სგან მისი გათავისუფლება.  
არ დამიძალნია: ჩემივე შვილიშვილია თქო. მომიკლეს შვილი, მისი-  
ვე მამა. დავუმატე: ხარჯსა გავიღებ თქო.  
ხაფეზი დაღონებული მისმენდა, ხმა არ ამოუღია. ფიქრობდა.  
ბოლოს თქვა: ვიცი პატრონსა დიდი ხათრი აქვს ჩემიო, გამიხარდება  
თუ მოვახერხებ დარწმუნებასაო.  
გვიმასპინძლა ხაფეზმა. დაღამებამდე წამოვედით მისი სახლიდანა.  
რა დამაძინებდა, ღამე თეთრი ამოვიჩემე.  
ვფიქრობდი ვაი თუ უარი უთხრას. ნეტავი არ გამემხილა. მეცადა  
ქრთამით გამოხსნა. მეცადა მისი მოტაცება.  
არ თენდებოდა. არ მითმენდა გული. უნდა შევძლო შვილიშვილის  
გამოხსნა თქო. დიღამდე ვარჩევდი გზებსა.  
გადაწყვიტე დავრჩენილიყავი, მანამ გამოვიხსნიდი დავითსა. დი-  
ღამდე ვსახავდი გეგმასა.  
მოვიდა მაცნე ხაფეზისა. მიუცია უფლება ყაენსა, ცოცხალი არ არის.  
მკვდარი წაიღეთო.  
ვფიქრობდი: ნუთუ ბოროტი ხუმრობაა. იქნება სხვაა, ჩემი შვილი-  
შვილი მკვდარია თქო.  
შევუთვალე ხაფეზსა, დაგვდე პატივი ისევ გინახულო თქო.

მიპასუხა: შოთა რუსთველისთვის ჩემი სახლის ყველა კარი ღიააო.  
მადლობა შევუთვალე. ისევ მივედი ხაფეზთანა.

დიდი პატივით მიმიღო. მიმტკიცებდა არ არისო ცოცხალი,  
ვუთხარი: თუ უფალმა ინება, ცოცხალი ვიპოვე, პირობა მომეცი მია-  
ნიჭებთ თავისუფლებასა. თუ ვერ შეძლებ, ნუ დამპირდები თქო. გაე-  
ლიმა ხაფეზსა. მითხრა: შაბათამდე დაიცადე, მანამდე მოგიგვარებო,  
დამპირდა.

ვერ ვითმენდი. ველოდი შაბათის დადგომასა.

მოვიდა მაცნე პარასკევსა: გადაწყდაო. მკვდარი გინა ცოცხალი, პატ-  
რონმა გაჩუქაო. წაიყვანეო.

მივედით ხაროსა. თურმე უბრძანა დარაჯთა, დაეხმარეთო. დარაჯ-  
თა მიგვიყვანეს ხაროს თავსა.

მოიტანეს დიდი ძელი. ლოდი მოვაშორეთ ორმოსა.

ჩავიხედე, თითქმის პირთამდე სავსე იყო შარდით და ტრაწითა. ამო-  
ვიყვანეთ. არ ქონდა შერჩენილი იერი ადამის მოდგმისა. დარაჯთა  
ვერ გაბედეს მისვლა.

დედიშობილა. დაეწვა შარდსა და მისივე ტრაწსა, თვალწარბი არ მო-  
უჩანდა, წვერი ტანსა შემოხვეოდა. ფუნა მიმხმარი სხეულსა, ლამის  
ძვლები მოუჩანდა. კბილები შავი. საშინელ არსებასა გავდა.

ვერ ვიკავებდი ცრემლსა. ლაპალუპით ჩამომდიოდა წვერსა.

ნულა ტირილი თქვა, გაიხარე, გადავრჩიო.

ტანზე შალი შემოვახვიეთ. წამოვიყვანეთ. დავბანეთ. თმა და წვერი  
მოვაშორეთ კაცსა. ვერ დადიოდა, წაერთვა ფეხები ჯდომასა.

თვრამეტი თვე დაგყავით მგ ზავრობასა.

## ცილი დამწამეს

თურმე თავიდანვე მეფედ ზრდიდნენ თამარსა.

თურმე მამიდა რუსუდანი ზრდიდა ორივე დასა.

პირველად თამარი ვნახე დამბლა დამეცა. მომწუსხა მისმა სილამა-  
ზემს. მას არ დავუნახივარ.

მეორედ ბოცოსთან ცოლის დღეობაზე შევხვდი. იქ იყო მისივე და.  
მისივე ნათესავნი. მალულად ვუცქერდი, არაბუნებრივი სილამაზისა  
იყო.

ღვინო საკმარისი დაელია დემნასა. მოიყვანა, გამაცნო თამარი, მო-  
მისვა გვერდითა.

ბევრი დავლიეთ. მთვრალნი ვიყავით. ვუმღეროდით სიყვარულსა,  
ვშაირობდით.

მორჩა ნადიმი. სტუმარნი ნელ-ნელა მიდიოდნენ. წავიდნენ ორივე  
დანი.

ღამე დაბრუნდა თამარის მამიდა რუსუდანი. მოიყვანა თავისივე  
ძმისწულნი. თმა აწეწილი ჰქონდა. მთხოვა გავყოლოდი გარეთა. გა-  
ვედით ეზოსა. სიბნელე იყო. მეცა, დამიწყო ხვევნა, მკოცნიდა, მიხუ-  
ტებდა გულსა.

უნდოდა მეკადრა უკადრი. არ ვიცნობდი. ავხორცი ყოფილა. მოვი-  
შორე. დავბრუნდი ბოცოს სახლსა.

გავიდა მცირე ხანი. დაკოდეს დემნა.

დამაბრალეს თითქოს პატარა თამართან დავაპირე სიყვარული.

თმები ყალყზე დამიდგა, მაკადრეს ამაზრზენი ბრალი. მერჩინა მო-  
ვეკალი. არცა ბოცომ დამიჯერა, როგორ მაკადრეო.

მეფე გიორგის ბძანებით დამატუსაღეს. ჩამკეტეს თმოგვის ციხესა.

ხუთი წელი თმოგვსა. ორი რუსთავსა. შვიდი წელი ვითა ტუსადი და-  
ვყავი ციხესა.

შვიდი წელი ვეძებდი სამართალსა. შვიდი წელი მექცეოდნენ ვითა  
ყმასა. ლამის მომეკლა თავი

თამარს ვუმადლი, დამიბრუნა თავისუფლება.

ვერ ვიტანდი თმოგველსა.თურმე კითხულობდა ჩემივე ლექსებსა. იცოდა მქონდა სახელი პოეტისა.თურმე ამბობდა:ვერ მოვუწონებ ხელსა.კარგად გღაბნისო.ცოდნია:უფლისწული ძმადნაფიცი ყოფილაო.მიკვირს, დაინდო გიორგი მეფემო.უკადრებელი აკადრა მეფესაო.ცოდნია:დემნას ცოლი ჩემივე ნათესავი რომ იყო.უთქვია:ნება მქონდეს,ჩამოვახრჩობდი მეამბოხის ცოლსაო.არც მის დედას დავინდობდი,ვითა მოლალატე ორბელის ცოლსაო.ივანეს დიდი ხათრი ჰქონია მეფესაო.

მისულა შოთა,ჩემივე ნათესავი.უთქვია:ამაზრზენი ცილი დასწამეს კაცსაო.ამბავი წაულია თმოგველსა:შოთამ გაბედა, თავისი ნათესავი დაიცვაო.

გვიან გავიგე:თურმე შოთამ მოახერხა,მომამორა თმოგველსა.იცოდა არ დაინდობსო.გადამიყვანეს რუსთავის ციხესა.უთქვია:მალე გამოვიხსნი კაცსაო.

მერე მითხრეს საზარელი ამბავი:შენი შოთას სჯეროდა,მოკვდაო.

მისი ხათრით შოთა დავირქვი.ასე დავიცავი სახელი დიდი კაცისა.

ვიცოდი ხალხი იტყოდა:სახელი დამალა,ამოეფარა კაცის სახელსაო.მართლა ბრალი ჰქონიაო.

ვიცოდი ასე გადავუხდიდი ამავსა.

„ვარდანმა“ თქვა:დემნას ძმადნაფიცობა არ იკმარე,მისი გამზრდელის სახელი დაირქვი.იცოდე მეფე თამარი არ მოითმენსო.ვერ გადაურჩები დასჯასაო.

მერე ვუთხარი მეფე თამარსა:ჩემი სიმართლე დაიჯერა.მისი სახელის დაცვა მევალებათქო.

## დამიბარა თამარმა

მიხმო თამარმა. მთხოვა მეთარგმნა მათეს სახარება.

დავპირდი მალე შევუდგები თარგმნასა თქო. წავედი გელათსა. და-  
ვიწყე თარგმნა სახარებისა.

მეორედ დამიბარა მეფემა.

თქვა: თუ შემეძლო, ქართულ-რუსული და რუსულ-ქართული სასა-  
უბრო წიგნის დაწერა.

ვუთხარი: გამიძნელდება. ვეცდები შევასრულო თქო.

დამპირდა დახმარებასა. დამიბარა: შენივე ძმის, "ვარდანის", ხმობა  
მსურსო.

მივიდა ვარდანი მეფესთანა. თან მიახლა. მიიღო მეფემა, მე გარეთ  
დამტოვა, ველოდი. გამოვიდა. გიხმობსო, შევედით. მდაბლად თავი  
დავეუკარი.

მცირე ხანს სამივენი ჩუმად ვიყავით.

მერე თამარმა ანიშნა ჩემივე ძმისა. გავიდა გარეთა.

ვერ გავიგე მიზეზი ჩემივე ძმის ხმობისა. რა სურდა ჩემგან მეფესა.  
ჩუმად იყო. ხმას არ იღებდა მეფე თამარი.

ვერ ვკადრებდი კითხვასა, გამორკვევას მიზეზისა ჩემივე ძმის ხმო-  
ბისა.

მერე ბრძანა მოყოლა ავად სახსენებელი, ღამისა. რა მოხდა ბოცოს  
სახლსაო.

ვიცრუე, არაფერი ვუთხარი.

მერე თვითონვე თქვა: ვიციო, ცამდე მართალი იყავი, ამიტომ ხარ ჩემ-  
თანო. მოწიწებით მადლობა მოვახსენე თამარსა.

მომიწონა საქციელი. თურმე ცოდნია ამბავი ჩემივე სიმართლისა.  
პატივისცემა ჰქონია მეფესა.

ანაზღად მიტრიალდა. ცრემლი დამალა. მოვარიდე თვალი მეფესა.  
არ დამალა. ხმა ამოიღო, მდულარი ცრემლი გადმოსდიოდა თვალსა.

თქვა: მამაჩემის ძე მე ვარო. დამალა ამდენმა სიცრუემა. ამდენი მე-  
ძავის გარემოცვამო, მძულს ჩემივე ქალად გაჩენის დღეო.



ვითა წყარო კლდესა, ცრემლი უწყვეტად ჩამოსდიოდა.

გული დაამძიმა ჩემივე მეფის განცდამა.

ვერავის ვენდობი. ყველგან სიცრუე, ღალატი და სისასტიკეაო. დაი-  
ჩემეს, რუსთა მთავრის ძეს უნდა მიმათხოვონო. ძმა არ მყავსო, დე-  
მეტრე არ არის ცოცხალი, სანდო არავინ დამრჩაო.

არ ვიცოდი რა მეთქვა. შევკადრ: თუ მენდობი, მიგულე შენივე სამსა-  
ხურსა. თავისუფლება მაჩუქე, ღირსება დამიბრუნე, სამუდამოდ შენი  
ერთგული ვიქნები თქო.

მოტრიალდა, ანაზღად მომეხვია, მაკოცა. თქვა: ნეტავ შემეძლოს შენს  
გვერდით ყოფნაო.

გავშრი, წამერთვა ძალი, ღონე, არ ვიცოდი რა მეპასუხა,

ვერ ვაბრუნებდი ენასა. გავბედე: მეც ვინატრებდი შენთან ყოფნასა  
თქო.

შემომხედა, ცრემლი შეიშრო, არ მოხდება. სამეფო კანონი კრძალავ-  
სო. დამძიმებული წამოვედი.

ვეცრუე ჩემივე ძმასა, ვუთხარი სახარების თარგმნასა მთხოვს მეფე  
თქო.

ვერავის გავუმხელდი, ჩუმად ვატარებდი თამარის სიყვარულსა.

## ჯვრის მონასტერსა

ათი თვე არ მინახია მეფე თამარი. ათი თვე მოვანდომე მათეს სახარების თარგმნასა.

სახარება ჩემი პირველი თარგმანია. დრო მალე გავიდა. ათი თვის მერე მივედი ბეთანიასა. რთველი იყო.

მეფე ჯვრის მონასტერსა წასულიყო. იქ მიბარებდა. მივედი. დაბნეული მეჩვენა, თვალთაგან ცრემლი სდიოდა, ტიროდა. მითხრა დაჯექიო. გვერდით ჩამოჯდა. ჩუმად ქვითინებდა.

მერე წამოდგა, წითელი ღვინო დაისხა, მეც მომაწოდა. დავლიეთ, მეორე, მესამე. მომეჩვენა, მორეოდა სასმელი. ისევ ტიროდა.

მერე თქვა: არ ვიცი რა ვქნა, როგორ მოვიქცე, გამოსავალსა ვეძებო. გიორგი, ჩემივე ქმარი, ღორის ნაშიერი გამოდგა, სოდომის ცოდვათა მქმნელი ყოფილა. თურმე დასდევდა ყრმათა, მერე სპათაო, ახლა ჯორ-აქლემთა აეკიდაო, ქათამთა, ცათა ფრინველთაც აღარ ინდობსო.

სპანი და ვეზირნი ველარ მალავენო წყრომასა. დავიღალე. თუ რამე არ ვიღონე, ამბოხი დაიწყება. ვერავის ვუმხელ, მესირცხვილება. მირჩიე რა ვქნა. რჩევისთვის გიხმეო.

ჯავრი და ბოღმა მახრჩობდა. წამოვარდი ანაზდად, თფუი, დავიძახე. თუ მიბრძანებ, ვითა ღორი დავკლავ თქო, ვუთხარი.

პირჯვარი სამჯერ გადაიწერა თამარმა. ხელაპყრობით ევედრებოდა უფალსა, მაჩვენე გზა ხსნისაო.

წყნარად მითხრა: გიორგის სიკვდილი არ იქნება გონივრული საქციელიო.

სხვა გზა უნდა მოიძებნოსო. დამთავრდა, არ ვაპირებ ღორის ცოლად ყოფნასაო. მისგან არცა მე მინდა და არცა ასული, ღორის ნაშიერი ღორი იქნებაო.

თამარი ვერ იტანდა გიორგისა, მალულად ბევრსა ტიროდა, ერთმანეთი არასდროს ჰყვარებიათ.

ვერ ვიკავებდი თავსა. ბოლმა მახრჩობდა. ვითა ვეფხვი ანთებული,  
ბალანი ამექოჩრა. მზად ვიყავი ჩემივე ხელით დამეხრხო გარეწარი.  
თამარი მაწყნარებდა. არ მიშველა. ვეუბნებოდი: მიბრძანე, მალე მისი-  
ვე მძორსა ვათრევინებ იმავე ჯორთა და აქლემთა თქო.  
თამარი წამოდგა. თასი ღვინით შეავსო, მომაწოდა.  
მეფის სადღეგრძელო დავლიე. ბოლომდე გამოვცალე. თქვენთა მტერ  
თა მენახონ ასე დაცლილი თქო ვუთხარი.  
გაიღიმა, წინ მედგა ქალი ვითა მზე, ანათებდა. თავი სამოთხის კარ-  
თან მეგონა. სამეფოს კანონიაო, თურმე მოათრიეს გადამთიელი ღო-  
რი, აწამებდა ქალსა. რომელი მთელი არსებით მიყვარდა.  
კანონი ვითა გალია დამიდგეს კაცსა. ვერაფრით ვშველოდი ქალსა.  
კოცონი მენტო ორივე თვალსა, ვითა მუგუზალი გიზგიზებდა გულ-  
სა. ვეძებდი ადგილსა, ვითა მძვინვარე ვეფხვი დავრძრწოდი.  
მომიახლოვდა მეფე. გამიღიმა, წვერზე ხელი მომისვა, მომეკრა, მი-  
ჩურჩულა: დაწყნარდი ჩემო რაინდო, გავაგდეხო.  
თავგ ზა ამერია. გავბედე, მივეხვიე. თმა დაენამა ცრემლსა.  
უფალს მადლობას ვწირავდი მოულოდნელი წყალობისთვისა.  
მთვრალმა გავუბედე. დღემდე გულსა ვიმარხავდი გრძნობასა. ვმა-  
ლავდი ჩემივე უიმედო სიყვარულსა. ახლა გეტყვი: თავსა მირჩევნი-  
ხარ თქო.  
იმავე ღამეს პირველად მივედი სასახლესა.  
ჩუმად გავიპარე მოახლე მართას დახმარებითა.

## საწყისი და სასრული

მე-დავწერე კალენდარი, რწმენა და სარწმუნოება

მე-დავწერე გალობანი სინანულისანი( მეფე თამარის ბრძანებითა)

მე-ვთარგმნე ძველი აღთქმა, მათეს სახარება, პითაგორას მათემატიკა, პლატონის სოკრატეს აპოლოგია

მე-ვარ პოეტი კალმოსანი, შემიმუსრნია მგოსანნი, თამარი ხატად და-  
ვსახე ვიყავ ვით გვირგვინოსანი

მე-ახლა ვარ მიხრწნილი, მოხუცი, ვზი ბაკოს თავსა. ხიხასა

თხილვანასა, ნასახლევისა სამარესა, ჩემივე დანი წვანან ვარხანსა,  
თეკლეს მამა

ტობასა მარხიან ჩვენივე წინაპარნი.

ფურტიოსა, ღირსი მამა ზოსიმეს სოფელსა მარხია ღალატით მოკ-  
ლული ბიძა, ფალა.

თამარს კიბო და ფირტუისა წყლულება აღმოაჩნდა. კიბო ბოროტი  
სნეულებაა

თამარმან მარხვა ბოლომდის დაიცვა. მისი ხათრით ვიცავდი მეცა.

ფალას ნათესავნი ტობას არიან დამარხულნი

მე-ველარ ვკითხულობ სოკრატესა

მე-ცუარის სამარე, ჩემივე დის, ვანენის გვერდით გავთხარე, თხილ-  
ვანასა.

მე-ვერ გადავარჩინე ლაშა, ჩემივე ბოკვერი.

მე- ვიყავი თამართან მანამ მეორედ გათხოვდებოდა. მერე სოსლანი  
ვითა ქმარი შეირთო თამარმა.

მე-დავარწმუნე თამარი, სოსლანი ღალატობდა.

მე-არ შევხვედრივარ შახსა

მე-არ ვუთხარი თამარსა, რა სენი სჭირდა. ვერ ხვდებოდა. სიკვდილ-  
სა ნატრულობდა.

მე-მკითხა სიკვდილის წინ თამარმა, კიდევ ერთხელ მითხარი ხომ  
არ გიღალატნიაო. კიდევ ერთხელ ვუთხარი: არ მიღალატია თქო.

მე-კიდევ ერთხელ ვამბობ:თამარისთვის არასოდეს მიღალატნია,არ მიფიქრია,ვერ ვაკადრებდი.

მე-თამარსა მივუძღვენი ჩემი სიცოცხლე ჩემივე ნებიოთა.მას ეკუთვნოდა იგი.ბოლოს მწარედ იტირა,კინალამ გული გამისკდა.

მე-ვიცრუე,კალატოზი ბოლოვ ბასილის სახელი მოგონილია.

მე-ლას დავარქვი ლაშასა

მე-გავაკეთე თაღოვანი ხიდები.

მე-ავაგე ეკლესიანი.

მე-დავხატე ფრესკები მეფე თამარისა.

მე-შემთხვევით ვნახე მარკოზის სახარება.

მე-შემთხვევით წავედი ხვარა ზმელთა.

მე-შემთხვევით შევხვდი ლიპარიტსა.

მე-შემთხვევით ვესროლე კახაბერსა,ავაცილე ყანჩასა,კინალამ მოვკალი კახაბერი.

მე-შემთხვევით ვარ ამდენი ხნისა.

**იყავით ფრთხილად-**

შემთხვევას ბევრი რამ შეუძლიან.ფუჭია წუთისოფელი.

სიყვარული შობს სიყვარულსა,ბოროტების ნაშიერი, ისეთივე ბოროტებაა.

ღალატმან შვა ღალატი,მოღალატმან ზღო ღალატიოთა.

ტოლია ღია და ჩუმი ღალატი,ნაშიერნი ტყუპნი არიან.

ულალატა ლიპარიტმან მეფე დავითსა,

ულალატა ბოცომან თამარსა,

ულალატა ივანე ორბელმან მეფე დავითსა,

მხარგრძელთა ღალატმან შეასუსტა სამეფო,

ბულა თურქმან დალაშქრა სომხეთი.

მოვიდა ქართველთა სამეფოსა,აილო თბილისი.

პილატე პონტოელმან ხელები დაიბანა.

სოკრატემ საპყრობილესა შინა საწამლავი დაღია.

მგლის ხროვა ვერ ჰგუობს ბატკანსა.

შურსა და მტრობასა მოსდევს ბევრად დიდი შური და მტრობა, ალ-  
პობს, სპობს სულსა და ხორცსა, უკეთესსა სამარისა ქვანი ღალადე-  
ბენ.

არა იყვნეთ უმადურნი სიკეთისა.

ისწავლეთ ჩემგან: მქონდა უთვალავი ქონება, ვარ სამოსელის ამარა.

ისწავლეთ ქმნა სიკეთისა, ასწავლეთ სხვათა, უმეტეს თქვენნივე შვი-  
ლთა, თქვენვე დაგიბრუნდებათ.

რაც შევუნდე, ის მომეტევა, რაც გავეცი, ის დამრჩა.

თუ რამ სიკეთე შევძელი, ის მაქვს მწედ და მეგობრად.

თუ რამ შევცოდე, თვალცრემლიანი, მდუმარე ვევედრები უფალ-  
სა, მომიტევოს.

შევუნდე ყველასა, ყველასგან შენდობა არ მიმიღია.

შეუნდოს უფალმა მათ, მომიტევოს უფალმა შეცოდებანი ჩემნი.

ვარ შავი ბერი.

ყველაფერსა აქვს საწყისი და სასრული

## თხამარი, თხავითი

მე-ათი თვე ვთარგმნიდი მათეს სახარებასა.

მე-ვთარგმნე ოთხთავი.

მე-ღამე-გავათენე დარდსა, გათხოვდა. ღალატი ვერ გავივლე გულსა.

მე-სხალთას მითხრეს მისი გათხოვება

მე-არ დავინდე თამარი. გათხოვდა. მეგონა მიღალატა. მხატვარი ვარ, მოვხატე მრგვალი მათივე სახენი, ტანი განიერი. მისივე თმას სხვა ტონი მივეცი, მაგრად ვიხალისე. ვერ მიმიხვდნენ ქარაგმასა. დავითი ტახსა დავამგვანე. ტორი დათვისა, თავი თხის ნეხვსა. ეგონათ ნერ-ვთა მიღალატა. ვუცქერდი ვხალისობდი. რომ ნახეს განრისხდნენ, გაგვამასხარავაო.

მე-რომ გავიგე ავენთე, თვითონ მიღალატა, რქანი დამადგა თავსა. მო-ხატვას მემართლებიან თქო. ხმა ამოელო ვინმესა, დავმარხავდი.

მე-ამას დავარქვი **თხამარი**, იმასა **თხავითი**.

მე-არ მოვხატავდი ვითა თხასა, მეგონა მიღალატა. პირობა მომცა თა-მარმა.

მე-ათი თვის მერე შევხვდი თამარსა. მოვიდა ივლიტასა, ვხატავდი. დავიმალე, არ მინდოდა შეხვედრა, მომძებნა, მომესალმა, გამიყვანა გარეთა. რძე მოგიტანეო მითხრა.

უარი ვერ შევბედე, გამოვართვი, მადლობა ვუთხარი. შავი დღე მაყა-რა, როგორ გამიბედე გამასხარავებაო. არაფერი მითქვია, ვიდექი მდუ მარემერე ხმა გავიგონე, ჩემი ძმა მოდიოდა, დამინახა თამართანა.

მე-თამარმა მითხრა ახლა დადლოლი ვარ, ვარძიას მივალ, იქ მოდიო.

მე-შეშინდა ჩემივე ძმა. გამაყიდვინებ სახლ-კარსაო. ფათერაკს გადა-ეყრები, ფრთხილად იყავიო, დამტოვა. გზა გააგრძელა.

ჩემივე ძმამან გამყიდა მეორე ძმასთანა. დამიბარეს. გამასამართლეს, წააგებ თავსა. დავილუპებითო. პირზე რძე არ გაგშრობია. მეფეს დაუ-პირე წაპოტინება, ტოლი და სწორიო.

პირობა მივეცი ძმებსა, არ გავეკარები თქო.

მე-დაღონებული და დამძიმებული წამოვედი.

მე-მივედი ვარძიასა, მიმილო თამარმა. კარი მსახურმა გამილო. ხმა გა-  
იგონა, მანიშნა სუფრასა. თევზი ელაგა, ზუთხი, ბოლოს კალმახი, წი-  
თელი ღვინო. მითხრა დამეწვიეო. მაღლი მოვახსენე. არ მქონდა სურ-  
ვილი. არ დაუძალებია, თვითონ მაღიანად მიირთმევდა.

მე-ვიჯექი, ჩემივე თავი მეზიზღებოდა. ვფიქრობდი: აქეთ თამარმა  
მილალატა, იქეთ ჩემნი ძმანი შემუქრებიან. თამარმა შემომხედა. მით-  
ხრა: როგორ გაბედეო.

ძვირად დავისვამსო, დავითი გამწარდა. გაზღვევინებსო. ყმაწვილი  
არ ხარ, ამას რა მოყვებოდა, არ გიფიქრიაო. წადი გაწმინდე. ხელახლა  
მოხატე, თუ გინდა გადარჩეო,

მე-ვუთხარი დამნაშავე ვარ, მეტი მომივიდა თქო

მე-ხელახლა მოვხატავ თქო, ვუთხარი. დავაპირე წამოდგომა.

მე-მითხრა დარჩი საქმე მაქვსო. ვარძიას როდის დაიწყებო?

მე-მოვრჩები ტობასა, მერე ივლიტასა. მერე ვარძიას დავიწყებ თქო  
მოვახსენე.

მერე ჩვენს შუა ჩადგა სიჩუმე, თამარი წაელო ფიქრსა.

მე-ჩემი სადარდებელი მკლავდა. ვფიქრობდი: მეფენი ადვილად თე-  
ლავენ ქვეშევრდომის ღირსებასა. მეგონა არ იცავენ პირობასა.

მე-ვთქვი: ვარძიას მოხატვის პირობა მიცემულია, დავასრულებ დავა-  
გდებ ფუნჯსა, აღარ მოვხატავ თქო. მცირე ხანი მაცალა ფიქრი.

მე-მოკრძალებით შევკადრე: მეფის ნებით წავალ თქო. მეტყობოდა,  
არ მქონდა განზრახვა დარჩენისა.

მე-მითხრა თამარმ: არა. დარჩი, მინდა ვისაუბროთო. ხასიათს ღვინო  
დაგიბრუნებს, დავლიოთო. არაფერი მითქვია. თვითონვე აიღო ორი  
თასი, დაასხა. მომართვა, მაღლობა ვუთხარი.

-შენი სადღეგრძელო იყოსო თქვა, მაღლი მოვახსენე.

-მეფე თამარს გაუმარჯოს თქო, დავლიე.

-ვიცი ნაწყენი, ხარ, ვერ დავიცავი პირობა. მართალი ხარო.

სამეფო კანონი ქმარის შერთვას ითხოვსო. ქალი ვარ, ხელმწიფ. განა  
მქონდა უფლება მეთქვა: არ მომწონს, არ მინდა თქოამბობენ ქვეყანას  
ასე სჭირდებაო.



## იმ დღეს ვარძიასა

**იმ დღეს** მითხრა თამარმა:

ჩემი ქალად გაჩენის დღე დაიწვასო. ამდენი მეძავის გარემოცვა. ლამის მეძავად მაქციონო. ჯერ იყო მოათრიეს ღორი, ქვეყნისათვის ასე სჯობიაო,

ახლა შევირთე მეორე, უცხო უფლისწული, სამეფოს კანონები ასე მოითხოვსო, თავი ქოფაკი მგონია, მეფემ უნდა უპატრონოს სამეფოსა. ხელი სხვათა დადგენილი კანონიაო.

დავიცავი კანონი. დავემორჩილე წესსა. ქმარი უვარგი გამოჩნდა. არ უთქვიათ, უვარგი კანონი გვექონია. ჩვენვე გავიწვევეთო. მერე ისევ მოითხოვეს დაცვა კანონისა, ვითა გზა დიდგვაროვანთა გავლენის გაზრდისა.

მათივე კანონით შევირთე მეორე ქმარი. დავემორჩილე სამეფო კანონებსა. მევე გამოვარჩია ქმარი ჩემივე პირობითა. ახლა ვარჩევ მოვექცე ვითა ქმარსა. სხვა ნირი ჰქონია. დრო ჯიქწამოვლებისა. ვითა სახელადარი გაჯიქდებაო. მართებულად დაგიხატია, მე რას მერჩოდო.

ხალხი ელის მემკვიდრესა. სამეფო კანონებით მემკვიდრის მამობა ერგება მეფის ქმარსაო. მზარავს დედობა მისნაირი მემკვიდრისა.

ვერ გავიგე რა სურდა მეფესა. მესამე ქმარსა თხოულობდა? ვერ ვეტყოდი რჩევასა. ვერ ამეხსნა მიზეზი ჩემი დარჩენისა. დაბნეულმა, ვიკითხე, ნუთუ მემკვიდრის გარეშე აპირებ დარჩენასა თქო.

**იმ დღეს** შემომხედა გაჯავრებულმა. თქვა: არაო.

**იმ დღეს** მითხრა: მინდა მყავდეს მე. იყო მემკვიდრის მამაო. უნდა დამპირდე, ბოლომდე მიერთგულებო.

ლამის ენა ჩამივარდა, ძარღვები გამეყინა, ვერ ვახერხებდი ვერაფრის თქმასა.

**იმ დღეს** ვუთხარი თამარსა: არ მიიღებს სამეფო, დიდებულები არ შეეგუებიან, ამბობს დაიწყებენ თქო.

**იმ დღეს** მომიგო თამარმა. მიიღებენ და იგუებენო, ვითა დავითის შვილსაო.

იმ დღეს გამაფრთხილა მეფემან, არავინ უნდა იცოდესო.  
 იმ დღეს გაოგნებული ვუსმენდი,  
 იმ დღეს უმწეო ქალი გარდაისახა წინაშე ჩემსა, მძვინვარე ძუ ვეფ-  
 ხვი სახავდა მომავლის გეგმასა.  
 იმ დღეს შევკადრე თამარსა, ვეჭვობ მართებული იყოს გეგმა მეფისა.  
 არაფერი გამაჩნია, სახლი არ მქონია, ძმების ამარა ვარ თქო.  
 იმ დღეს პირველად შემეყო თამარმა. შენ გაქვსო, რაც სხვას არა ჰქო-  
 ნია. ვერ ექნებაო.  
 იმ დღეს თქვა თამარმა: გაიხსენე მცირე ხანსა რამდენი დიდებული  
 ციხე და სასახლე შემუსრულა, რამდენი ახალი აშენებულაო. მოზვე-  
 რის ნაშიერი მისივე მსგავსი იქნება. დაილუპება გადაიყოლებს სა-  
 მეფოსაო.  
 იმ დღეს დამპირდა მეფე, შენ გექნება შენივე ციხეო.  
 იმ დღეს მივიღე პირველი დავალება, ვითა ხელმა მეფისა: ვარძიას  
 მორჩი, მერე შენივე ციხის აღდგენა დაიწყეო.  
 იმ დღეს ვერ ვხვდებოდი რა ხდებოდა ჩემივე თავსა. უფლის წყალო-  
 ბა მერგო, თუ ამიხდა ნათქვამი ჩემივე ძმებისა.  
 იმ დღეს არ უტირია თამარსა.  
 იმ დღეს ჩემს წინაშე მრისხანე მბრძანებელი, მეფე თამარი იდგა.  
 იმ დღეს პირველად ვნახე ქალი მეფე, დიდი გვირგვინოსანი.  
 იმ დღეს დაამტკიცა გეგმა ჩემი და სამეფოს მომავალისა.  
 იმ დღეს დასრულდა ერა უბრალო მხატვარისა.  
 იმ დღეს დამედო დიდი ტვირთი ქვეყნის სამსახურისა.  
 იმ დღეს სხვა თვალით შევხედე ჩემსავე გრძობა-გონებასა.  
 იმ დღეს პირველად მივუტევე მეფე თამარსა  
 იმ დღეს ერთად გვეძინა თივის ზვინსა. ერთად დაგვათენდა ვარძი-  
 ას თავსა.  
 იმ დღეს მიბოძა ძვირფასი თვალი, შენივე ციხის აღდგენა დაიწყეო.  
 იმ დღეს ჩუმიად გამომაპარეს ვარძიიდანა.

...

მე-ჩემივე მთავარ ქმნილებად ვეფხისტყაოსანი მიმაჩნია.

მე-დავხატე თამარი ჩემივე ხელითა.

მე-თავიდან მოვხატე ანჩი, მერე ჩორჩანი, ჩემივე სოფელი.

ტობა, ბირთვისი, ხიზაბავრა, ფოკა, ზანავი, ზარზმა, თოკი, ზედაზენი, თავფარავნის ეკლესია.

მე-მოვნახე და დავმაღლე თომა მოციქულის თავის ქალა.

მე-ავაგე ორი, აღვადგინე ერთი ეკლესია თხილვანასა. ერთი იოანე ნათლისმცემლისა, მეორე იოანე მახარებლისა, მესამე იოანე ოქროპირისა.

მე-ავაგე ეკლესია ჩემივე სოფელსა ტობასა, ხიხასა.

მე-ვთარგმნე: მათეს სახარება, სოფოკლეს ტრაგედია, პლატონის სახელმწიფო, ესქილეს ევმენიდენი, სამივე ბიბლია.

მე ვთარგმნე დავითნი, პითაგორა, ეზოპე, სოკრატე თორმეტი მოციქული.

მე-ვარ პოეტი, ქართველი მეფის მამა.

მე-ვალმერთებდი თამარსა, ბოლომდე ვუერთგულე მეფესა.

**დიდება უფალსა**

## ხვედრი მეფეთა ქველთა

**მეფე ფარსმან ქველმან**-რომელმან ეომა რომსა. შემუსრა პართია, მომთაბარენი და ალანთა ლაშქარი მიუსია რომსა, ხელთა იგდო აბრეშუმის საქარავნე გზანი. ანსი ქმნა სატახტო ქალაქი ახალი იბერიისა. იბერია ქმნა ვითა ძლევამოსილი სახელმწიფო. მოწამლეს მოღალატეთა.

**მეფე გორგასალმან**-დაიმორჩილა ალანთა და ჰუნთა, აიღო გამოსტაცა ეგრისი ბიზანტიასა, სძლია სპარსთა, განადიდა და გააძლიერა სამეფო. მოღალატეთა მოკლეს

**მეფე აშოტ დიდმან**-სძლია სარკინოზთა, ბრძოდა აგარიანთა, მოიღო ქართლი. მოიკლა მოღალატეთა ხელთაგან.

**მეფე ბაგრატმან**-დალაშქრა განძა სძლია ფადლონსა, დაიმორჩილა რატი, შემოიერთა ჰერეთი, ერთიან ჰყო საქართველო.

**მეფე დავითმან, აღმაშენებელმან**-შემუსრა სელჩუკნი, ქმნა ძლევადი საკვირველი, აიღო თბილისი, ჰყო სამეფო ნიკოფსიიდან დარუბანდამდის.

**მეფე თამარმან**-სძლია რუქნადინსა, განამტკიცა ქვეყნის ძლიერება. წარიღო ტრაპეზუნდი ბიზანტიასა. დასვა ერთგულნი მისივე იმპერიასა. დაუზავდა არაბთა უძლეველ მეფესა, სალაჰ ედ დინსა, მიიღო ფიცი წმინდა მიწას ქართველთა ღვთისმსახურებისა. დახარკა ხლათი და არჭეში. დაგმო წესი თავსაკვეთელისა.

**მეფე ლაშამან**-უკუაქცია მონღოლლნი. დახარკა განძელნი. დაიმორჩილა მთიელნი. მოიწამლა მისივე ნათესავთა ხელითა.

**მეფე რუსუდან**-შებილწა სამეფო ტახტი, დაამცრო ძლიერება სამეფოისა. მოიშორა მემკვიდრე ტახტისა, მე ლაშასი, დავითი. არღარა იყო ძლიერებაი ქართველთა.

**უმეფობითა**-დაიღალა საქართველო.

**მე**-წავედი დარუბანდსა, მოვიყვანე მემკვიდრე ტახტისა დავით, რომელ იყო მონღოლთა ურდოსა.

**მე**-დავეხმარე ჩემივე შვილის ძესა, ტახტზე ასვლასა.

## ჯილდო ვერაგისა

ვინ იცის, მერამდენედ გაიყიდა საკუთარი ქვეყანა?

*მერე\** ვინემ ვერაგი ჯალალ ედ დინი მოვიდოდა, დავცალე ციხე ხიხანისა. თავი შევაფარე მარეთის ხევსა.

*მერე* ჯალალმან გამარცვა ზარზმა, ზანავი, დააქცია ხიხანის ციხე, გადაწვა ჯავახეთი, დოლისყანა, ძველი ხანძთა.

*მერე* ლალატით აღილო თბილისი. მოახსნა გუმბათი ეკლესიასა სიონისა.

*მერე* ამოწყვიტა მოქალაქენი, შეურაცყო ეკლესიანი. ბევრი სისხლი დაღვარა.

*მერე* ყველგან ძებნა სამარე მეფე თამარის, მცხეთას, ვარძიასა, ხიხასა. დოლისყანასა.

*მერე* ბევრი ამოწყვიტა, ვერ იპოვა სამარე მისივე ზეციური მტერისა.

*მერე* დუჟმორეულმან ჯავრით დაუწესა ჯილდო ფრიად დიდი. ათი ათასი

*მერე* იმედი ჰქონდა: ჯილდოს უცილოდ დახარბდებო ვინმე. ვპოვებო.

*მერე* თამარის მოძულეთა ბევრი ძებნეს, ვერ ეღირსნენ შეპირებულ ჯილდოსა.

*მერე* ვერცა ჯავრი იყარეს თამარისა.

*მერე* დაიგულეზდნენ სადმე, მივიდოდნენ გამარცვავდნენ.

*მერე* ვერავინ შეძლო პოვნა სამარისა.

*მერე* ყველა თავისი აზრითა და გუმანით ბჭობდა.

*მერე* ერთნი ერთს გაიძახოდნენ, მეორენი ამტკიცებდნენ სხვასა.

*მერე* დაეწურათ იმედი პოვნისა.

*მერე* წავიდა დესპოტი ჯალალ ედ დინი

...

დავარმან დამაბეზლა მთა-მთა დადის მალულად, ხატავსო.

გაჯავრდა თამარი, გირჩევნია შენივე პოემა დაასრულოო, გამაგებინე მხატვარი ხარ თუ პოეტიო.

ვუთხარი პოეტი ვარ, ჯავრი მომეძალება, გულს გავაყოლებ. არ მოვკვდები, პოემას არ დავასრულო თქო.

ბოლოს დაასუსტა, გატეხა ხორცი ბოროტმა სენმა, ჯავრობდა, ველარ დადიოდა მისივე ფეხითა.

ნატრულობდა: ბალახსა ზედა ფეხით გამატარა მთასაო. ბოლომდე იცავდა მარხვასა. ლოცულობდა. უფალს ავედრებდა ლაშასა.

*\*მერე-ქურუმთა ენას ასე იკითხება: მე ვარ მობრუნებული*

## გავცივდი ბერთასა

ათი მცნება. ათივე დავარღვიე

მე-ათი თვე ვიყავი ბერთასა, ბანასა. ათი თვე ველოდი თამარსა.

მე-ცვილისგან მისი ფიგურები გავაკეთე.

მე-ქვათა ინით ვღებავდი, მისივე თმისა ფერისა,

მე-დღე-ღამ მასზე ვფიქრობდი, ბევრს ვმუშაობდი, თეთრად ვათე-  
ნებდი ლამეებსა.

მე-მოვხატე ბერთა, ბანა, დავასრულე დოლიყანა. ფეხზე მდგარსა  
მომრევია ძილი.

მე-გავცივდი ბერთასა, თოვლსა და ყინვასა დალილი, ღამე ნათევი.  
თავბრუ მეხვეოდა სიცხიანსა, ძვლები მტკიოდა. ვერ ვახერხებდი  
ფეხზე დგომასა, ჩავარდი ლოგინსა. სიცხე არ იკლებდა. ტუჩბაგე და-  
მებერა, ცივი ოფლი მდიოდა. მამცივნიებდა. თურმე ციება მქონია.

მე-ვერ ვახერხებდი წამოდგომასა. მკვდრის ფერი მქონია სახესა.

მე-ვერაგინ ვნახე ძმებთან გამეგ ზავნა. ვერ ვაცნობე.

მე-ვნერვიულობდი. მთავარი საქმე-დამთავრებული მქონდა. მერე-  
ვინმემ მოიტანა ამბავი, ბოცო მისულა მეზობელ სოფელსა.

მე-არ მითქვია, არ იცოდა, იქ რომ ვხატავდი. მოვიდა ბოცო, მოიყვანა  
ვინმე აქიმი, თურმე ციება შემყრია.

ცბიერი ბოცო, ვერ წაგიყვანო, ვერ ჩააღწევ ტობასაო. დამტოვა. გააგ-  
რძელა გზა.

მე-შევეცოდე აქიმსა, არ ყოფილა შენი ნათესავი ნამუსიანიო.

ბევრი იწვალა. მომარჩინა, წამოვდექი მეათე დღესა.

## მუზა სოსლანისა

თავიდან უნდოდა მეფის ქმარსა, გვერდით ჰყოლოდა. არ მოშორებოდა მეფესა. წავიდოდა თან გაჰყოლოდა.

ამაზე თავადი ქამადა(ვარდან) ხუმრობდა,

სოსლანსა თავისი ცოლი ჰყვარებია, თურმე ლექსები მიუძღვნიაო.

იმოდენა მუზა აქვს, პოემას დაწერსო.

დასვენება არ აღირსა მუზასაო.

აზელილ დაზელილი მუზით დადისო.

მაგას ცოლი და მუზა არევაო.

მაგის მუზას აქლემი ვერ მოერევაო.

მუზა გადმოფინაო.

მუზასა ცხენით დასდევსო.

ასე ხალისობდნენ მეფის ქმარის საქციელსა.

...

ჩემი დაწერილია წმინდანთა ცხოვრება. დამეხმარა დემნას ცოლი, თეკლე. მონაზონი ცუატი.

მე-დავწერე გალობანი სინანულისანი. აღვასრულე ბრძანება მეფე თამარისა.

მე-დავწერე ახალი კალენდარი.



## ორმოცი წელი

მე-ორმოცი წელი ვწერდი ჩემივე ვეფხისტყაოსანსა.

მე-ვითა შვილი ვეფერებოდი.

მე-დავციცინებდი შვილსა. მანამ ცოცხალი იყო, ვერ ვახერხებდი წერასა.

მე-ვერ ვიცლიდი თამარის სიცოცხლესა, ბევრს მავალებდა.

მე-სომეხთა არ დამასვენეს, დაგვიწერე რამეო. უნდოდათ ხელმწიფე ტიგრანისათვის მიმეძღვნა სადიდებელი.

მე-ვეუბნებოდი: ცოტა მცალეთ, დავამთავრებ პოემასა, მერე დავიწყებ თქო.

მე-ვიცოდი ვერ დავუწერდი. ვერცა ვეტყოდი უარსა. ვიცი, იკადრებენ. სომხობას დამაბრალებენ. მათად დაიჩემებენ. ჩემივე ვეფხისტყაოსანსა.

მე-ქართულად რომ დამეწერა, იტყოდნენ: ხომ ხედავთ, ქართული კარგად სცოდნია. ორივე ენითა სწერდაო.

მე-სომხურად რომ დამეწერნა, იტყოდნენ: ასე სომხის გარდა ვინ დაწერდაო.

მე-მაგათთან ურთიერთობას სიფრთხილით ვეკიდებოდი.

მე-არ მითარგმნია სომხურიდან არაფერი. არცა სომხურსა მივკარებოვარ.

მე-ვიცოდი, ვერაგები იყვნენ.

მე-თამარმა მთხოვა, არ გინდა ამდენი წერა, იკმარე რაც დაგიწერიაო.

მე-ვუთხარი: მალე მოვრჩები თქო.

მე-არ ვეუბნებოდი ბაგულსა რას ვწერდი. არ ესმოდა. იცოდა ვწერდი დიდსა.

მე-ცილი დამწამეს.

მე-ვურჩიე დედოფალსა მეფედ დაესვა ლაშა.

მე-ვიცოდი, მანკაბერდელი ცდილობდა ყაენისაგან მიეღო მეტი უფლება.

მე-მოვხატე ღრმანი.ციცაბო ფერდობსა მოსჩანს ჩემივე დონ.ბაკოს  
მხარესა ჩანს ლას.

მე-თხილვანასა მოვხატე ციცირონის დროინდელი კაპიტოლიუმი.

მე-ვურჩიე თამარსა,ვარდანმა წაიღო ლორე.

მე-ჩემივე დასა,ცუარის ვეცოდებოდი.დილიდან საღამომდის შეუს-  
ვენებლად ვხატავდი ნაღვარევისა მთასა.

მე-მოვხატე არსიანის მთისა უკან.კარგა მოზრდილი ხარი.

მე-დავხატე კალუნდარის,ლას-ის ნიშანი.

მე-ტბასა მოვხატე, ვეფხისტყაოსანი,მეფე თამარი ტბასა.წყალი ვითა  
ცრემლი მეფისა.

მე-სამ ენაზე დავეწერე ჩემივე ვეფხისტყაოსანი

მე-მომწონდა ციცირონი,დიდი მოაზროვნე იყო

მე-მინდა წავიდე. ვინახულო რომი.

## წმინდა მარიამი

მესიზმრა წმინდა მარიამი. ვითომ ვიყავი ზემოთ, მეცხრე ცასა, მამა-  
ზეციერთანა. მზეს ვუმზერდი ზემოდანა. იყო ლამაზი ეზო.

ეზოსა შინა ისხდნენ: მცხეთელი ელიოზ, ღირსი მამა ზოსიმე, მამა  
ზენონ, წმინდა მეფე-ალმაშენებელი, დედოფალი ელენე, იოანე ზედა-  
ზნელი, იოანე ათონელი, იქით ასურელნი მამანი.

დაღონებული იყო მეფე თამარი. ყველას ხელთა ეპყრათ ორ-ორი  
სანთელი, თამარსა ერთი.

ვიკითხე მიზეზი. მითხრა დაღონებულმა, ამათ უფლება მისცეს ერ-  
თი თავისიანის მოყვანისა, მე არ დამრთესო, ჯერ ადრეაო.

ყველანი ერთად იყვნენ, მე ცალკე ვიდექი მოშორებითა.

არ მაძლევდნენ უფლებას მიახლოებისა. ვიყვირე: თქვენთან მინდა  
თქო.

უარსა იყვნენ, უფლება არ გვაქვს, თითო გვყავს ყველასაო.

მერე დავინახე მოდიოდა წმინდა მარიამი. მომიახლოვდა, ხელი გა-  
დამისვა თავსა. მითხრა: ჯერ ადრეა. ცოტა მოითმინეო. მომცა პატარა  
სანთელი ჩემივე ხელსა. დრო მოვა, შენვე წამოუღე თამარსაო.

დაილოცოს უფალო შენი განგება

ამინ

## უფლისავე ნებითა

უფლისავე ნებითა მჯერა სახარებისა.

უფლისავე ნებითა დავწერე პოემა სიყვარულისა. ჩემივე მუზა თამარია.

უფლისავე ნებითა ორმოცი წელი ცრემლი მდიოდა თვალსა,

უფლისავე ნებითა ორმოცი წელი ვიყავი გარეთ გაგდებული.

უფლისავე ნებითა სიცოცხლე შევწირე სამეფოს ძლიერებასა.

უფლისავე ნებითა არასდროს მილაღატნია ჩემივე ხალხისათვისა.

უფლისავე ნებით ვწერე, ვთარგმნე, ავაშენე, აღვადგინე.

უფლისავე ნებითა ვიყავი მეჭურჭლეთუხუცესი.

უფლისავე ნებითა ვიყავი დესპანი მეფე თამარისა. არაბთა მეფისა, მონღოლთა დიდი ხანისა.

უფლისავე ნებითა მიბოძა არაბთა მეფემან მთა წმინდა მიწასა.

უფლისავე ნებითა დავიცავი სიცოცხლე ჩემივე შვილიშვილისა.

უფლისავე ნებითა მოვახერხე გამოხსნა ლაშას ძისა.

უფლისავე ნებითა მივედი ხანის კარსა. მოვიყვანე მეფე ქართველთა.

უფლისავე ნებითა დავიცავი სახელი მეფე თამარისა.

უფლისავე ნებითა ვძლიე ლიპარიტსა.

უფლისავე ნებითა მეორედ აღვადგინე დაქცეული ციხე.

უფლისავე ნებითა დავუბრუნე იმედი ხალხსა.

უფლისავე ნებითა დაიკარგა სამარე მეფე თამარისა.

უფლისავე ნებითა მოვხატე მთა.

უფლისავე ნებითა ვიპოვე ხელნაწერნი იოანე ზოსიმესი.

უფლისავე ნებითა ვძლიე ჩემივე სიხარბესა.

უფლისავე ნებითა სამოსელის ამარა წავედი წმინდა მიწასა.

უფლისავე ნებითა შევუნდე ყველასა.

უფლისავე ნებითა ვემსახურები უფალსა.

## მე და შენ

მ

ე

ვარ შოთა, ტბელი, რუსთველი, ძე ივანე აბუსერიძისა.

დავიბადე ტობასა.

მივუძღვენი მეფე თამარსა, ვეფხისტყაოსანი.

მოვხატე ტაო, ხანძთა, შატბერდი, ვარძია.

ხოტბა შევასხი თამარსა.

შევხარი მზესა.

მდუმარესა და მოუცლელსა.

მთასა მძინავს, ხიხანსა.

ვარ ხელოვანი.

ვარ პოეტი და მგოსანი.

თურმე გითქვამს ჩემი სჯობსო, ვით არ აჩერებ ენასა,

ვინ გიქო? ნურავის ეტყვი, ეგეც ეყოფა იმასა.

შ

ე

ნ

შენ ვინ ხარ ჩახრუხასძვე?

შენ, ძე ვინმე გაბელისძესი.

შენ, ცანცარა, ჩანჩურა.

შენ, შეხედე მზეს და ამომხედე მე.

შენ, გერჩივნოს ტოლი შენსა ტოლთა შინა ძებნე.

შენ ნადირალა და უვიცი ხარ.

შენ, ვითა ძალლი ელაქუცები.

შენ, ხარ ხელოსანი.

შენ, ვაცი ხარ თხათა ჯოგთა.

შენ მძორთა შეექცევი.

შენ ენაგრძელი აგდიხარ ძირსა.

შენ ზი ჩეროსა თუ ჩურანსა.

## სხვა რამ

გაწვიმდა. გავცივდი. სამი დღე ვიწექი. არავინ მოსულა.

ვერ დავიცავი თეკლე, დემნას ცოლი, ჩემივე ნათესავი. მოვიდა, მელანი მომიტანა. ტანსაცმელი გამირიცხა.

ვერ მივუსწარი, ვერ ვიკავებ ცრემლსა. დამიტოვა წიგნები

წავიქეცი, ქვას თავქვე დავეცი, გამწარებული ვაგინებდი ცრუ საწუთროსა.

მომინდა გაცურვა. ტბასა წყალი ცივია, დაბანა მინდა, ცურვა არ ვიცი.

თუ ჩავყვინთავ, ველარ ამოვალ, ყურსაცობი არ წამომიღია.

რუსთავი, ქვემო ზადელა და შუარტყალი წავილე საერისთავოსა.

ვიცი ყბაყურას ცივი წყალი არ უყვარს.

ხატი წავილე რუსთავსა.

ბოჩოლა წავიყვანე ცუარისთან, ბულა აქ არ იყო.

არ ვიქცევი სწორად, გავაცურე საცოდავი ვარდანი, იგივე ერისთავი, თავადი ქამადა. წავართვი ზედოწმინდა

ვიცი, ყუთლუ არსლანმა ვერაფერს ვერ მიაღწიასულეულურად მოიქცა

ვიცელქე, თავად ქამადას ვუწოდებ ვარდანსა, ვითა გვარი აქუს, ცრუ გვარი

ივანესა ვუწოდებ ყუბასარსა, ვითა მამასა მეჭურჭლეთუხუცესისა.

ვარ რუსთველი.

## მე და ზოსიმე

ორივენი ვართ ვერძის ნიშნით დაბადებულნი,  
ორივე ვართ დაბადებულნი ტახის წელსა  
ის იშვა ივლიტასა, მე დავიბადე ტობასა.  
კიდევ ბევრია საერთო.  
დავიბადე აპრილის ჩვიდმეტსაა. ისა აპრილის თექვსმეტსა.  
ორივემ ვილუაწეთ აჭარასა. ორივენი ვიყავით მთასა.  
ის დაბასა ფურტიოსა, ფოთელურსა, ხიხასა.  
ორივემ დავკარგეთ პირველი შვილი.  
ორივემ მივაღწიეთ ღრმა სიბერესა. ორივენი ვართ შავი ბერი.  
ორივემ ავაშენეთ ეკლესიანი. იმან ბევრად მეტი ააგო.  
ორთავემ ბოლოს მივაშურეთ იერუსალიმსა.  
ორივენი ვიყავით ღირსი მამა.  
ორივემ თავი შევწირეთ სამშობლოს სამსახურსა.  
იმან შვა ანზანი, ქორონიკონი, მე ახალი კალენდარი.  
ორივემ მოვუარეთ თომა მოციქულის თავსა.  
ორივენი ღარიბნი ვიყავით. ორივეს ორ ორი ძმა გვყვანდა.  
ორივენი თავადის გვარისანი ვიყავით.  
ორივემ ბევრი ცრემლი ვღვარეთ.  
ორივემ ბიოგრაფია დავფარეთ ბურუსითა.  
რუსთველის სახელსა ვიყავი ამოფარებული, ის დაბელის სახელსა  
ვარ შოთა, მე ივანე აბუსერიძისა, ის ივანე, მე გიორგი ჩორჩანელისა  
ძმასა ვარდანსა დავარქვი თავადი ქამადა, იმან თავისივე ძმასა აღ-  
ბულა.  
ჩემი ძმა დაესახლა ზაქიეთსა. იმისი ძმა ხევწრულიუსა

## გვიზოდა თამარმა

ვინმე მესხი მელექსე, მე ვარ.

მამა ივანე, პაპა აბუსერი, დედა ხათუთა, ბიძა ფალა.

ძმა აბუსერი, ვარდანი, იგივე ქამადა.

მეძახიან დიდი პაპის სახელსა, ტბელსა.

წინაპარნი მოვიდნენ ატენის, ძამას ხევიდანა,

ტბელნი, ძველი აბაზასძენი, შვიდნი ძმანი

წავედი ხიხანსა ზედა ხევი.

ძმა ვარდანი, იგივე, ქამადა ზაქიეთსა, იმერხევსა, მერე ლორე-ტა-  
შირსა.

ძმა აბუსერი მზვარესა, ქვედა ხევსა

და ვანენი, ცოლი ივანე ორბელისა, დედა ცუატისა, მისივე სიძე დემნა

მეფე თამარმა აჭარასა, არსიანსა მიზოდა ციხე ხიხანისა.

...

ციეზის წამალი მზადდება ხის დამპალი ქერქისაგან.

თეკლე დემნას ცოლი. დემნა დაკოდეს.

ვთარგმნე: სოკრატე, სოფოკლე, სენეკა, ციცერონი, არისტოტელე, ცამე

ტი ასურელი მამა.



## კალენდარი

უფალი იესო ქრისტე,

ეს არის ქართული ასომთავრული კალენდარი ლასი

ვარ ქართველი პოეტი რუსთველი. იმავე ტბელი

ლას მზის და მთვარის ქართული კალენდარი.

ლასით

პირველი თვე ვერძი

მეორე თვე კურო

მესამე თვე მარჩბივი

მეოთხე თვე კირჩხიბი

მეხუთე ლომი

მეექვსე სახვი

მეშვიდე სასწორი

მერვე თვე ღრიანკალია

მეცხრე თვე მშვილდოსანი

მეათე თვე ვაცი

მეთერთმეტე თვე საქანელა

მეთორმეტე თვე ლასი

ძველი კალენდარით მეცამეტე თვეს ერქვა თოთი. ყოველ მეცამეტე

წელს მეორდებოდა.

ექვსი თვე ნაკიანი, ექვსი უნაკო. თებერვალში 29 დღე.

წელი ასე ნაწილდებოდა პირველი ექვსი თვე (186), მეორე (179).

## ვარ დონ

დონ ვარ მე. მივუძღვენი მეფე თამარსა  
დავასრულე 1233(6837).

მთვარის კალენდარი, სამი ათეული, ოთხი შვიდეული.

ძველი ციკლი მთვარის წლისა: ათი თვე. ათივე თვე მთვარისა  
ახალი კალენდარი დონ. ძველი ლას

მრავალწლიანი შრომა და ჯაფა დავებარჯე ამის დასათვლელადა.

უნდა მენდოთ, დონ ახალი კალენდარი ბევრად ზუსტია ვიდრე ლას.  
ორივეს ძირი ძველ ასომთავრულ კალენდარია.

ძველი კალენდარი შევისწავლე საფუძვლიანად, გამოიჩნდა ცდომი-  
ლება.

ყოველი (124) ციკლის მომდევნო (4) წელი ვითა ხელი ორი კაცისა.  
ბოლო ორი ნაკიანი (127; 128).

ლასის ციკლი იწყება ვერძის ნიშნითა.

დონი გავუსწორე ლათინთა კალენდარსა. პირველი თვე ლათინუ-  
რით იანვარი.

**ლას-წელი ერთი (365) დღე-ღამე, უნაკო.**

წელი ერთი (366) დღე-ღამე, ნაკიანი.

ციკლი ოთხი წელი. 1461(1460; 1) დღე-ღამე

დიდი წრე ლასით: (124): ნაკიანი (31), უნაკო (93). დღენი დიდი ციკ-  
ლისა (45291).

**დონ-წელის დღენი იგივე მცირე ციკლის დღენი (1461).** დიდი ციკ-  
ლი (128). მცირე ციკლი (32). ნაკიანი (33). უნაკო 95(94\*; 1). დღე დიდი  
ციკლისა 46753(46752; 1).

დიდი მოქცევა, ინდიქტიონი (532). დიდი მოქცევა ლასი 496(4\*124),  
დონი 512(4\*128). დიდი ინდიქტიონი ლასით: (133; 399). დონით: (137;  
395).

ცდომილება დონისა; (6) დიდი მოქცევა (3072). ბოლო (768) ე მცირე  
ციკლი (3) ნაკიანი წლით. დღე (1122072; 1).

## თურმე არ უგლოვიათ

მოკვდა ჩემი მზე,თამარი,თვესა მაისისა პირველსა.თავზარი დამც.  
ჩუმად დავიტირე.

ათი თვე ვიგლოვე.ათი თვე ცრემლი მსდიოდა თვალთაგან.

თურმე ჩემსავით არვის უგლოვია გულითა

თურმე არ უგლოვია ჩვენივე სამეფოსა

თურმე არ უგლოვიათ თავისივე ნათესავთა.

თურმე არ უგლოვია თამარის შვილსა.

თურმე ვერ გაუბედეს ლაშასა,ათი თვე ვიგლოვოთო.

თურმე მოკვდა თამარი,დაასვენეს სვეტიცხოველსა.

თურმე სამი დღე იგლოვეს ეკლესიასა.

თურმე ღამე კუბო წაუღიათ გელათსა,იგლოვესო სამი დღე.

თურმე დამარხეს გელათსა,თავისივე დიდი პაპის,დიდი დავითის  
გვერდითა.

თურმე ციდან სველი თოვლი მოდიოდაო,ბუნებამ იგლოვაო.

თურმე ჩემივე შვილმა ლაშამ მოიპარა ცხედარი თამარისა.

თურმე ცხრა ერთნაირად მორთული კუბო მოამზადებინა.

თურმე ცხრა კუბოს ათ-ათი კაცი მიაცილებდაო.

თურმე ცხრავე სხვადასხვა მხარეს გაემგზავრაო.

თურმე არავინ იცოდაო რომელ კუბოს ესვენაო მეფე თამარი.

თურმე ვერავინ გაიგო ზუსტი ადგილსამყოფელი მეფის სამარხისა.

არ მიკადრებია ჩემივე ძისთვისა.მეკითხა ადგილი მეფის სამკვალისა.  
ვერ მობრუნდა,მომიკლეს ჩემივე შვილი.

ბევრი ძებნეს ვერაგი ჯალალის დავალებითა.ხარბთა დიდი ძღვე-  
ნისა.

ვერავინ იპოვა მეფე თამარის სამარე.გაუჩინარდა მისივე და უფ-  
ლის ნებითა.

## ავაგე

ავაგე და მოვხატე ეკლესია ტოზასა

ავაგე შვიდი ეკლესია

შევაკეთე რვა ეკლესია, მოვრთე ჩვიდმეტი, მოვხატე ორმოცამდე

ხელმეორედ აღვადგინე დაქცეული ციხე ხიხანისა.

გავდე ხიდნი ცხმორისსა, სხალთასა.

გავიყვანე გ ზა ლაკლაკეთსა, შუბანსა. ნაქალაქევს ზემოთა.

გავმართე გ ზანი მარეთსა, ზამლეთსა, ზანავსა, ზარზმასა

...

ჩორჩანელი და ჩორდვანელი ორივე ერთი ჯიშისანი არიან

## ვერ დავიტირე

თინათინი ჩემივე მზე თამარია

ათი თვე გავიდა დაგვარგე თამარი

ათი თვე ვით მკვდარი დავდივარ

ვერ დავიტირე დედა,ვერც მამა.მოკვდა ვიყავი საპყრობილესა. ციხესა თმოგვისა

ვერ დავიტირე დანი და მმანი.

ვერ დავიტირე ვერცა ცუატი, დემნას ცოლი.

ვერ დავიტირე დემნა,ვიყავი საპყრობილესა.

ვერ დავიტირე ლაშა,ვერ გავიგე,გვიან მოვიდა მაცნე.

ვერ დავიტირე შაოსანი ვანენი,ჩემივე და,ვიყავი შორსა.

ვერ დავიტირე და,ცაცი,მოკვდა ზამთარსა,იყო ნაღვარევესა.დიდი თოვლი იყო,ვერ შეეძელი მისვლა.

ვერ დავიტირე ვარდანი, მოკვდა ზამთარსა.იყო შორსა ტაშირსა.

იანვარი ვერაგი თვეა.ამდენი სიცოცხლე წაიღო.ამავე თვესა მოკვდა ჩემივე შვილი ლაშა,დაი ვანენი,ცაცი,მმა ვარდანი,მამა, დედა ხათუთა, მკვდრად იშვა ჩემი ორი შვილი.

...

გავდე დიდი თაღოვანი ხიდი ფურტიოს, ზამლეთსა

დავაგე ვ ზა ზანავსა,ბაკოსა და არსიანის თავსა, ზაქარწმინდასა.

ავზიდე ლოდები შიგანას ლელისა ჩემივე ციხესა,ხიხანსა.გავდე ბაგირი,ავზიდე.მეორედ ავაგე ციხე.მოვზიდე ტალახი ღმანისა ზორბა ხარებითა.

მოვიყვანე წყალი გვირაბითა,ერთი ეჯია.

ავაგე ჭა შავი ყორის ქვითა.ჭურებსა შიგან ვაგროვებდი წყალსა.

დავმარხე ციხის ფერდსა ასიოდე ქვევრი.გავავსე წყლითა.ბუჩქნარით დავხატე შოთა, შორიდან ჩანს.თამარი ნიღაბითა.

აღვადგინე ციხე,დანგრეული ლიპარიტის მეოხებითა.

დავხატე ჩემივე შვილი ციხის გვერდითა.ხელთა უპყრია სკიპტრა.

## დავარქვი

ბურუსით დავფარე ჩემივე სახელი.

ვერ ვიგუე ჩემივე ცოლი ბაგულ, მისივე გერნი.

ყვავდი ვითა კატა თავგსა. მერე ცოლი გერეებით წავიდა ტობასა  
ვუთხარი გაგელსა, ტობასა ჩემივე სახლსა მივცემ ბაგულსა.

დავარქვი ტარიელ. სახე ორი კაცისა: დემნას და ძმადნაფიცისა.

დავარქვი ასმათ თეკლასა, დემნას ცოლსა. ჩემივე ნათესავსა. ბოლომ-  
დე უერთგულა დემნასა. ვითა მონაზონი ცუატი.

დავარქვი თინათინ, ჩემივე საყვარელსა, თამარსა.

დავარქვი თხამარი თამარსა.

დავარქვი ლაშა ჩემივე შვილსა.

დავარქვი დონ ახალ კალენდარსა.

დავარქვი ხიხანი, მეორე სახელი მთასა არსიანისა.

დავარქვი თხავითი თამარის ქმარსა, დავითსა.

დავარქვი დავარი თამარის დასა რუსუდანსა.

დავარქვი თავადი ქამადა ჩემივე ძმასა.

დავარქვი თხავადი ვარდანსა.

დავარქვი თხალ თევზა ჩემივე ცოლსა, ბაგულსა. ხესა ავიდა, წყალსა  
ჩავარდა.

დავარქვი ხანენი ვანენსა, ივანე ვითა ხანი ტაშირისა.

თამარსა ჩემივე საყვარელსა ჩუმად ვეძახოდი კლეოპატრასა.

დავარქვი ვეფხი თამარსა ვითა ანგელოზსა.

დავარქვი ვეფხვი დავარსა ვითა დემონსა.

დავარქვი მოყმე ვეფხვზე მონადირე, ლაშასა.

დავარქვი ცრემლის ტბა. სათახვეს ზედა ტბასა. შრებოდა ზაფხულ-  
სა. გავწიე არხი ვითა ცრემლთა საწური. ტბა დავამგვანე ცრემლსა  
თამარი ჩუმად მეძახოდა სოლომონსა.

დავარქვი მალხალ ჩემივე დასა ცაცის. ლამაზი იყო, მოილოცა მალხა.

დავირქვი შოთა რუსთველი, დემნას მერე.

დავირქვი მესხი მელეუსე თამარის მერე.

დავირქვი აბუსერისძე ტბელ ლაშას მერე, სახელი ჩემივე დიდი პაპისა, გვარად პაპისა სახელი.

დავარქვი ვეფხისტყაოსანი ჩემივე პოემასა, დაყავი ვითა სახლი ორი ხარისა.

ვითა კალენდარი (32,33), ვითა დიდი მოქცევა (532), ქარაგმა წმინდა მამისა, პეტრე იბერიელისა.

ვითა სახლი დემნა უფლისწულისა, ვით მიძღვნილი სადიდებელი.

ვითა სახლი მეფისა და მოყმისა, ხოტბა შევასხი საყვარელსა.

ვითა ასპარეზი ბრძოლისა; დემონისა და ანგელოზისა, არსი სიცოცხლისა.

მინდოდა მომეხატა თამარის სახე სათახვეს ტბასა.

მოვხატე დემნა ტბასა, თავსა ოტარიდი.

## ხილვა

მქონდა ხილვა,

ვიხილე ნამდვილი სამოთხე,

ვნახე სულთა სავანე,

ცხოვნება წმინდა სულეებისა,

დიდება სახელსა შენსა უფალო, ამინ

## ბოროტება ჩავიდინე

დიდი თოვლი მოვიდა. ვერ წავედი ტობასა.. დაფარა კარ-მიდამო.  
მციოდა. მარტო ვიყავი. გარეთ გასვლა გამიძნელდა. გზანი დაფარა  
თოვლმა. მშოიდა. დამაუძღურა. ლამის შიმშილმა მომიღო ბოლო.  
არაფერი მქონდა. ცამეტი დღე არ მიჭამია. არსაიდან მქონია იმედი  
მაშველისა. მთელი ზამთარი არავის გამოუვლია.

მიწურულსა დეკემბრისა მოვინდომე გაკვალვა გზისა. მეგონა დაბ-  
ლა მივალ მდინარის პირსა, მერე ვეცდები მივიდე ბაკოსა.

თურმე ბევრად დიდი ყოფილა თოვლი. ვერ ვახერხებდი სვლასა.  
ხრამამდე მივედი. თურმე დიდი განსაცდელი მელოდა ხრამის პირ-  
სა.

ვნახე ბოკვერი დათვისა, ზემოდან ჩამოვარდნილი. ვერ ახერხებდა  
წასვლასა. დამძლია ძალამა შიმშილისა. ვითა ბარბაროსმა გავიმეტე  
ძღვენი ზეციური მამისა. გამოვიტანე ფიწალი, ყელსა გავჩხირე. მებ-  
რძოდა, გამვრა ბრჭყალი. არა ვჩიოდი. დავკალი, გავწმინდე.

ბეწვსა მარლილი დავაყარე. ფიჩხით და ჩალით კოცონი დავანთე. ცოტა  
შევბრაწე, დანარჩენი შევინახე.

დაილოცა ღმერთო შენი განგება, ამხელა თოვლსა და ყინვასა საკვე-  
ბი მომცა.

სიკვდილამდე ერთგული ვიყავი დედოფლისა.

ვარ მესხი მელეჟსე, ქართველი პოეტი, შოთა რუსთველი

ათი მცნებიდან ათივე დავარღვიე. ვერ დავიცავი ვერცერთი.

ვარ ცოდვილი.

ქონება დავუტოვე ქვრივთა და ობოლთა

დამლოცე, მომიხსენე საქართველოვ, შენივე ცოდვილი შვილი.



## თავადი ქამადა

ძველი ქართველი თავადი, ღვიძლი ძმა ჩემი, ვარდანი.

თამარმა ჩუმად უბოძა მამულნი ჩემი ხათრითა.

თურმე დავარმა უთხრა ვარდანსა, თამარმა არ იცოდა, რა მოგცაო.

მიხვდება უკანვე წაიღებსო, უმტკიცებდა უარი თქვენვე თქვითო.

ავიღე წიგნი მათივე წყალობისა. მივედი მეფე თამართანა. ვუთხარი:

თურმე არ უნდა ვენდოთ შენივე წყალობასა თქო. ცრუ გამოჩნდა, შე-

ნივე და ასე ირწმუნება, ვითომ მევე დამეწეროს საბუთი ჩემივე წყა-

ლობისა თქო.

გაიგო თამარმა. გაცხარდა. მითხრა: ვინ მისცა ამდენი უფლება, ჩემივე

გაცემულ წყალობას ეჭვობდესო. იმათ გადაეცი, ჩემგან ბოძებულსა

ვერავინ წაართმევსო.

უბრძანა მწიგნობარსა მოედებნა მისივე დაი, დავარი.

მოიყვანა მწიგნობარმა მეოხებითა თავისივე მსახურისა. ვერ გაიგო

დავარმა, მიზეზი ხმობისა.

მოვიდა წინაშე მეფისა, დადგა ვითა ასპიტი, გველი, მახრჩობელა, უწ-

მინდური. ეგონა გაიტანა თავისივე ვერაგობანი.

მცირე ხანი მდუმარე იყო თამარი. ეტყობოდა ვერ იჯერებდა. ეგონა

ვერ გამიბედავდაო. ნახა მისი ბინძური თვალნი, მოელვარე ვითა აფ-

თარისა, მძორის წინაშე მდგომისა, თავი ვერ მოთოკა მეფემა. უთხრა:

რამდენი უნდა ვითმინო შენივე ვერაგობანიო.

მეფე ვარ, მევე დავადგენ წყალობასა. აღზევებასა და დამცრობასაო.

საკმარი მოგეცი, მოგეთოკა შენივე ვერაგობანიო.

უცებ აენტო მეფური მრისხანებითა, გაეთრიე აქედანო. აღარ მსურ-

სო ატანა შენიო, თუ არ მოიშლი. იცოდე, შენივე ბოლო სახრჩობელა

იქნებაო.

პირველად ვნახე განრისხებული მეფე თამარი.

უხმოდ წავიდა დავარი, გესლიანსა და უწმინდურსა ეწერა მისივე

სახესა: გაზღვევინებთო.

უნდა მივმხდარვიყავი მაშინვე,ვერ წარმომედგინა ამას თუ გაბე-  
დავდა.თურმე გაურიგდა ასულსა თამარისა.დასა მეფისა,მომიკლა  
შვილი,გამაუბედურა,წამართვა ძე,უმეფო ჰყო საქართველო.

ბედნიერი თამარი,ვერ იხილა ვერაგობანი მისივე დისა თუ ასული-  
სა.დაკარგვა მემკვიდრისა.

თურმე დავარმა ასპიტის შხამი გაურია ღვინოსა.დააღვინეს ლაშა-  
სა.გამწირა მე.გაწირა მისივე და,ვერ ვუშველე.უეცრად მომკვდარა.

არ დაინდეს მემკვიდრე ჩემივე ძისა.დამინდო უფალმა,შევძელი,  
გადავარჩინე.

დამიმალეს.გვიან გავიგე.

თურმე იმავე ციხეს მოუწამლავთ მეფე დავითი,მამა დემნა უფლის-  
წულისა.ხელი მისივე ნათესავისა.

დიდია ხელი აღზევებისა,დიდია ფასი დაცემისა.

თურმე აზღვევინეს ვერაგობანი ჩემივე შვილის მკვლელთა.ვიცოდი  
დაეძებდა ხალხი ჩემივე ძისა.

მომიტევე უფალო,ცოდვანი ჩემნი.ვერ შევძელი მათი დარწმუნება.

მომიტევე უფალო სისუსტენი შენივე ცოდვილი შვილისა.

**ამინ**

## დავარქვი ვარდანსა,ვიცრუე

რუსთველი შემთხვევით არაფერს ამბობს. მისი სიტყვა ნაფიქრი, განსჯილია. ძმასა, ვარდანსა, თავადი ქამადა დავარქვიო. ვგონებ არ იქნება შემთხვევითი სახელი.

ქურუმის ხელი გააყოლებდა ტვირთსა, ვითა ვალსა თავისივე ვერაგი ძმის სახელსა.

ცალკე ამბის სამალავად აქცევდა, დამალავდა, დაშიფრავდა შეინახავდა ამბავსა მისივე განსაცდელისა.

რას ნიშნავს თავადი?. თავი, თავი მთავარი, თავი უფროსი...

ჩანს აზრი და კონტექსტი ქარაგმისა. "თავი და მადა აქ". "თავი"-მინიშნებაა. ქარაგმა მთავარი შემოქმედისა ან თავისა, ვითა მთავარი გმირისა. მთავარი მინიშნება "თავი"-ია.

თავადი ქამადა ორი სიტყვა, ორივე სიტყვას ექვს-ექვსი ნიშანი, ანუ შეფარვით თქვა ტოლიაო. (6) ტოლი (6)ისა.

გამოვსახოთ ცხრილი.

თ ა ვ ა დ ი ქ ა მ ა დ ა

<u>თ</u>	<u>ა</u>	<u>ვ</u>	<u>ა</u>	<u>დ</u>	<u>ი</u>
ხ	ს	ტ	ბ	რ	ნ
ზ					ქ
<u>ქ</u>	<u>ა</u>	<u>მ</u>	<u>ა</u>	<u>დ</u>	<u>ა</u>

გვაქვს ორი პარალელური მწკრივი

თავის მისაღებად უნდა შევაკვსოთ გვერდები.

თავ-ი და მადა.

თავდაპირველ სიტყვებშიც და აქაც ბოლო ორი ასო ნიშანი შენარჩუნდა, დი და და. ლოგიკურად მარჯვენა სვეტი უნდა შეივსოს ორი დაბოლოებით 1). დი, 2). და.

შეივსო ყველა გრაფა

ახლა ვნახოთ რა თქვა:

თავადი ქამადა დავარქვი ვარდანსა.მადა დიდი აქვს.ვითა თხავარ-  
დი,დავარი.თხავადი ვარდან.

ქმარსა თამარისა:თხავითი.

მოვხატე დავით.ვითა ტახი.დავამგვანე თხასა. სათახვეს ტბასა ზე-  
მოლან დავხატე თამარი.სახე თეთრი ტალახითა დავფარე,ავდარსა,  
ნამიანს არ იქნება,უნდა ნახო მზიანსა ამინდსა,ადრე.

მთავარი მინიშნება;ტოლი ტოლისა.ნიშანი ორი სახელისა (6) და  
(6).მხედრულით (ვინ) და (ვინ).რიცხვი (30) და (30).ძველი ქარაგმით  
(პირ) და (პირ).ალეგორია ორპირისა.პირდაპირი ერთი პირი და  
პირს უკან მეორე პირი.12(6;6) ქარაგმა კალენდარული წრისა.(66)  
ალეგორია მეფე თანარის თარიღისა.(12) ლას,ქარაგმა მეფე ლაშას  
თარიღისა.მინიშნება ორივე სახელის ცაწერა ვითა კალენდარული  
წრისა:(თავადი) და (ადამაქ),შებრუნებული პირი (ქამადა).იგივე  
ორი პირი თავადისა.

<u>თ</u>	<u>ა</u>	<u>ვ</u>	<u>ა</u>	<u>დ</u>	<u>ო</u>
ო	ვ	ე	რ	ა	ს
ს	ა	ლ	ა	ვ	ა
<u>ა</u>	<u>დ</u>	<u>ა</u>	<u>მ</u>	<u>ა</u>	<u>ქ</u>

<u>9</u>	<u>1</u>	<u>6</u>	<u>1</u>	<u>4</u>	<u>10</u>
10	6	5	19	1	20
20	1	12	1	6	1
<u>1</u>	<u>4</u>	<u>1</u>	<u>13</u>	<u>1</u>	<u>24</u>

ორი მწკრივის მიმდევრობით შევსება დამატებითი მინიშნება ქარა-  
გმისა.მხედრულით (თ)9,ქართული ქარაგმით (9).(იქ) მხედრულით  
(34) ხარ.ძველი ქარაგმით (ცი).იგივე ასი (100) ასაკი კაცისა.მარჯვენა  
მხარეს მინისნება (ას).ერთად (ქ;ას;ი).მეორე მთავარი მინიშნება (9)თ  
და (9)ქ.მარცხენა მხარეს იგივე მინიშნება (ას)ი.

(ქას) ქარაგმა ტბელის ზეგანის ზიქურათისა.

წრეზე (16) ნიშანი,მარცხნიდან მარჯვნივ მიმდევრობით:(თავადი; სა);(ქმად;სი).

მარცხენა მხარეს ქვევიდან ზევით ორი გრაფა,მოპირდაპირე ზევიდან ქვევით.ორი გრაფა (დ;ას) და (დ;ას).მინიშნება ქართული ქარაგმის (4)ე ნიშანისა (დავ).

ორ-ორი გრაფა ვერტიკალურად:(ავად) და (დავა).მინიშნება დანარჩენი გრაფებისა:(ველ;ა) და (მარ;ა).

(ველ) იბერის ქარაგმით (65).კაბალა (11)კ.ქარაგმა ერთად:(კ;ა);(მარ;ა).იგივე თალი.

დავარმა მისივე დასა.

ვალი თავადისა ქმადასი.**ვალად დავალ.ვარამ დამაქ.**

**არამ მდა სიავისა** თავადისა ქმადასი.

(ვარამ და მაქ) ქარაგმული მიმდევრობა.ვარამ გაგელი მამა პოეტის ცოლისა,მონაწილე მეფის ლალატით სიკვდილისა.სხვა ვარამ გაგელი გამზრდელი სოსლანისა.მესამე ვარამ გაგელი მონაწილე შეთქმულების წინაშე ლაშას მემკვიდრისა.

(ველა;დავა;თისა) და (არამ;დავა;ქასი).

(ქ;ას;ი) მხედრულით (24;100;10).იგივე (34;100).დრო ხარისა და (ცი;ცი).ქარაგმა დრო ორი ხარისა.

მარცხენა და მარჯვენა სვეტი ვერტიკალურად:(თი;სა) და (ქა;სი).

(თი;სა) ქარაგმა თათი ლომისა სახლსა კაცისა.

(ქა;სი) კაცის სახლი ზეგანსა.ორივეს ჯამი (40)რი და (55)ურ. ქარაგმა:რიტორი ურისა.

## ჰოვეს დავარი

მეფე თამარის ბრძანებითა დამევალა ბრძოლა მისივე დისა, დავარისა და თავგასული თავადების წინააღმდეგ.

მათი აღზევება ზღვარსა იყო გასული, მისივე და, დავარი, ფარავდა იმით ვერაგობასა. თვითონვე უწყობდა ხელსა

გიორგი რუსმა დიდი შფოთი მოიტანა, დავარი შიგნიდან უჭერდა მხარსა. ვაზლვევინე ცბიერ გაგელსა. მისი მამული მივეცი ძმასა ვარდანსა. ქსანი და ზეკარი მივეცი თყვარყვარესა.

მეძავი დავარი ცდილობდა მასთან ვყოფილიყავი. მიყვარდა თამარი. სხვა არავინ მინდოდა.

დავარი მეუბნებოდა დაანებე თავი თამარსა. მამალებდა, მეც გაგიჩენ შვილსაო. ჭორი დამიყარა, ვითომ მისი საყვარელი ვიყავი. ვერ დამიყოლია, ძვირად დამისვა. დააღვივნა შვილსა შხამი შავი ასპიტისა. არ ვიცოდი, ვერ გადავარჩინე.

თურმე მალევე მომკვდარა ძე, ლაშა. მივედი ქუთაისსა. ძე ვიგლოვე სამარესა. დამიმალეს, არ ვიცოდი, გვიან გავიგე.

მომიტევე უფალო: ვიფიქრე შვილის საფლავსე. დაგიკლავ მაგასა, ვითა წარმართი მისივე ღმერთსა.

არ ვიცოდი სად მეძებნა, დაიკარგა კვალი მისი.

თურმე ექვსი თვე უძებნია ლაშას ხალხსა. უპოვიათ დამალული ბანძასა.

დაუნახია შეშინებულა, თურმე ყვიროდა მოშორდით აქედანაო.

დაცვის ბიჭები რას აკეთებენ, როგორ შემოგიშვესო.

დიდი ქრთამი მიუციათ. გაუღიათ კარი დარაჯებსა.

თურმე კიოდა: დაცვის ხალხი სად არიან, გააგდეთ აქედანო. გაცოფებული ასკდებოდაო., დორბლი მოსდიოდა პირიდანაო.

გაქცევა დააპირო, დავიჭირეთო. გაშმაგებლმა უკბინა მხარსაო. ვაზლვევინეთო.

მომიტევე უფალო, გამიხარდა სიკვდილი ასპიტისა

## გზას იერუსალიმისა

ვარ მონა იესო ქრისტესი.

მონასტრის ფრესკა დავხატე ტბასა. ვარ ანაფორასა ფარდის დაბლა. დავხატე წასვლამდე. ვერ დავაწერე სახელები წმინდანებისა. მოვერიდე არ წაებილწა ვინმესა.

თავი დავფარე თეთრი ფერის ქვითა. თავი ადის გზასა.

მეგონა დასრულდა მისია კაცისა. არავინ დამრჩა, მოხუცი მარტო დავრჩი ციხესა. ვაპირებდი გამეზავრებასა.

გონი მივაბრუნე გზასა, ხელი სამზადისსა. დარდი მოხუცის ბოლო გზისა. ნაღვლიანი ვუცქერდი მთასა. ღამე ვფიქრობდი. თურმე ბევრად ძნელია მეზავრის დადგომა ბოლო გზასა.

დამძინებია დაღლილსა. ვიხილე უცნაური სიზმარი.

გავემზადე, მარტოკა გავუდექი გზასა. დავემეზავრე ქარავანსა.

გავედით ფოთიდანა. ადგილი არ დამხვდა გემსა. მითხრეს: ათი დღე დაელოდე, მეორე ქარავანი გავაო.

ავედი გემსა. მცირე ადგილი ვიპოვე. დავდგი ჩემივე სკამი, დაღონებული დავჯექი. ვიცოდი აღარ მეღირსებოდა ხილვა ჩემივე ქვეყნისა. გეზი აღმოსავლეთით ავიღეთ.

ვითომ დღე ვიჯექი, ღამე დავდიოდი. არ გადიოდა ზაფხული.

დავიტანჯე. ვიცურეთ მთელი თვე. მოვალწიეთ დარდანელსა.

იმ დღეს ძღვა წყნარი, არ ღელავდა.

დაღამდა, შავმა ღრუბელმა დაფარა ცა. ჯერ წვიმა წამოვიდა. მერე ამოვარდა ქარი. საშინელი ჭექა ქუხილი დავგატყდა თავსა. გაიტაცა გემი ტალღამა. ატყდა ჩოჩქოლი. ვერ გავიგე, რა ხდებოდა. ქარი აქეთ-იქით ატრიალებდა გემსა.

ავიღე ჯვარი, დავიწყე ლოცვა. ვევედრებოდი უფალსა, ვთხოვდი შველასა.

მცირე ხნის მერე გემი წამოედო მეჩეჩსა, აყირავდა.

ჩავცვივდით წყალსა. ბევრი იქვე დაიხრჩო. ვითომ ყავარჯენით მოვეჭიდე გემსა. ასე დავყავი დილამდე.

ხელებსა ვანაცვლებდი. ტალღები არჩევდა გემსა. გათენდა. ზღვა და-  
წყნარდა.

დილას ვნახე მგზავრთა ცხედრები წყლის ზედაპირსა. არავინ იყო  
ცოცხალი, დაეხრჩო წყალსა.

ვეწვალე ავედი გემსა. დავისვენე. მცოიოდა. თურმე დავცემულვარ ნეკ-  
ნი გამტყდომია.

ვფიქრობდი რა მექნა. დავინახე ბაგირი აფრებსა. დანა გადამირჩა.

დავაჭერი ბაგირნი. ფიცრები მოვაშორე დალეწილ კედლებსა.

ათიოდე ფიცარი ორ ფენად შევკარი.

ნიჩბად ავიღე ორი ფიცარი. გადავიწერე პირჯვარი. ტივი შევაცურე  
წყალსა. ვიჯექი ტივსა, მივყავდი დინებასა წყლისა.

ვაკვირდებოდი მზესა. ვითვლიდი დროსა, მინდოდა გამეგო ადგი-  
ლი ზღვასა.

ვითომ დავასკვენი, ვარ სრუტესა დარდანელისა. დიდება უფალსა,  
მეზღვაურის ნიჭი მქონია თქო.

ღელვის დაწყებამდე ქარი აღმოსავლეთისა. მივხვდი უნდა მეცურა  
იმავე მიმართულებითა.

დილას შევნიშნე, გემი მიცურავდა ზღვასა.

ავტეხე ყვირილი, ვერ გავაგონე. წავიდა.

დაღამდა. გემსა ვიპოვე საგზალი. ყველი და ნატეხი პურისა. წამოვი-  
ღე, შევჭამე.

დილით გამოჩნდა ხმელეთი. დაღამებამდე მივაღწია. ღამე გავატარე  
ტივსა. დილით გავედი ხმელეთსა.

ვერ ვცნობდი ადგილსა. ყავარჯენი გატეხილი მქონდა. ვიწვალე

ავედი მალლობსა, მოვათვალიერე. შორს მოჩანდა სახლები.

თვალი მოვკარი საყდარსა. მივედი, ვნახე წინამძღვარი ტერტერა

თეტია იყო. ეტყობოდა აღზრდა აკლდა

საუბრის დროს იღეჭებოდა. ცავატანემ ვუთხარი, ჯვარის გაყიდვა  
მინდა თქო. გალიზიანებული ჭაჭყანებდა, აყვირდა.

აღფერჯან დავუყვავე, ნახე რამდენს გადაიხდი თქო. აღტაცება ვერ  
დაფარა, ზრდილობა მოიკრიბა. ამდენი ხანი გიტარებია, ახლა ჰყიდი



ჯვარსაო. თქვა გაკვირვებულმა. სხვა გზა არ დამრჩა თქო, ვუთხარი. იყიდა ჩემივე ჯვარი. ვერ დავიყოლიე, ცოტა გადაიხადა. დაღონებული გავეცალე ტერტერასა.

გავიგე, თურმე საქარავნე გზა ყოფილა ახლოსა.

მივედი, თქვეს: ქარავანი მესამე დღეს გავაო.

ღამე ღია ცის ქვეშ გავატარე. ჩამძინებია დაღლილსა და დაქანცულსა. დილას აღმოვაჩინე, თურმე გავუძარცვივარ.

მივედი ქარავნის პატრონთანა. აღზრდილი და ქრისტეს მოშიში აღმოჩნდა. მოვუყევი რაც დამატყდა თავსა. ვერ დავაჯერე.

ვეხვეწებოდი უნდა წამიყვანო. ქრისტიანსა სხვასთან ნუ გამიშვებ თქო

მოვიდა კაცი. დაუდასტურა გემის დაღუპვა. ამტკიცებდა არავინ გადარჩენილა ცოცხალიო. გავეხუმრე: ერთის გარდა თქო.

გამომკითხა, რომელი ხელმწიფის ქვეშევრდომი ხარო. რა მოხდაო. იხუმრა: ჩვენს ქარავანსა იგივე არ დაატყდესო.

გავეხუმრე. შევუდგები ლოცვასა, იმათ სალოცავი ადგილი არ მომცეს თქო. მომიძებნა ადგილი, დამასვენა.

ვერ მოვუძებნე ახსნა ჩემივე სიზმარსა. დავაბრალე მოლოდინსა ჩემივე ვონებისა.

...

ჩავედი სექტემბერის თვესა, რიცხვსა ცხრამეტსა.

## ვეფხისტყაოსანი

თითქმის რვაასისა შესრულებულა ვეფხისტყაოსანი. შედეგრი რუსთველის ხელისა, დაუპყრია მწვერვალნი დიდებისა.

არ ნელდება ცდა დაუძლეველის დაძლევისა, ჯიბრი პოემისა.

ორასზე მეტი ენით ესაუბრება რუსთველი მკითხველსა.

სამყაროს ორასზე მეტი ენით ისმის ხოტბა მეფე თამარისა.

ბევრმა მიბაძა რუსთველსა. თავისებურად გაბედა ხოტბა პოეტის მუზისა. ვინ როგორ შეძლო ქება მეფე თამარისა, ვინ ლექსი მიუძღვნა, ვინ გმირები გაცოცხლა ტილოსა. თითო ოროლამ გაბედა საპაექროდ ეწვია რუსთველსა. ამბავი დამალა, არ გაუმხელია პოეტსა. არ დაურღვევია მდუმარება.

ბევრი ლეგენდა, მითი, შეთხზული თუ რეალური რუსთველის ვინაობისა. დარჩა მდუმარე. იდუმალებით მოცული ავტორი და მისი ბიოგრაფია.

ყველა დროის მოაზროვნეთა ერთნაირად ესმოდათ: ვეფხისტყაოსანი ბევრად მეტია, ვიდრე გენიალური სახოტბო პოემა.

ჩანდა, ავტორი არ იყო მხოლოდ პოეტი, ხელოვანი უზადლო ხოტბის შესხმისა. პოემა თავისთავში მოიცავს არანაკლებ მნიშვნელოვანსა, ვიდრე ჩვენთვის გასაგები პოემა. შესაძლოა ბევრად დიდი საგანძურია დამალული, საცავი დიდოსტატისა.

ვეფხისტყაოსანი გზაა კაცის ხორციელი ცხოვრებისა. პოემა ისტორიაა ქართველთა მოდგმისა და წინაპარისა. ქართული ანბანისა და კალენდარისა. დამალვის ხერხი საიდუმლო ხელია პოეტისა. ნაყოფი ზანთა და იბერიელ სწავლულთა სკოლისა. ხელი წმინდა მამებისა. ბევრი ხერხი თვითონვე მოუგონია პოეტსა.

სათაური პოემისა:

ვეფხისტყაოსანი	ს	ა	ბ	ო
3	2	1	5	6
3	1	7	3	6
3	2	1	7	6
3	2	1	7	6
3	2	1	7	6

(სან)გამყოფი.სტრუქტურა ნიშნებისა:



თარიღი ზაქისა,იოანე ზოსიმე და დასრულება პოემისა.

**ძველი და ახალი კალენდარი**

№	ახალიკალენდარი	კე8.86ი8	პოემა	ძველი კალენ.ზოდიაქო
1	იანვარი	2	ასო.ნიშ	წყლის საქანელი(მერწყული)
2	თებერვალი	12		თევზი
3	მარტი	3	3	ვერძი
4	აპრილი	1	ე	კურო
5	მაისი	7	ფ	ტყუავები(მარჩბივი)
6	ივნისი	3	ხ	კორჩხიზი
7	ივლისი	6	ო	ლომი
8	აგვისტო	8	ს	ქალწული(სახვი)
9	სექტემბერი	5	ტ	სასწორი(მეუღლე)
10	ოქტომბერი	1	ყ	დრიანკალი
11	ნოემბერი	6	ა	მზილოვსანი
12	დეკემბერი	3	ო	თხის რქა (ვაცი)
13	იანვარი	2	ს	წყლის საქანელი(მერწყული)
14	თებერვალი	1	ა	თევზი
		5	ნ	
		6	ი	

სურათი ორი კალენდარია.ლათინური კალენდარით წლის პირველი თვე იანვარი, ხოლო ბოლო მეთორმეტე დეკემბერი ქართული კალენდარი იწყება ვერძის ნიშნით.ამთავრებს ნიშანი თევზისა,(12)ე თვე შუაში მოცემულია ნიშნები პოემის სახელისა და თითოეული ნიშანის კაბალა.სახელის ნიშანი (14). უცნაურია,თვეების ოდენობა (12), ნიშანი (14).მხედრულით (ნარ)34.ქარაგმა (კარ). სახელის ბოლოს (11)ე მხედრულის (20)ე ნიშანი (სან).კაბალის რიცხვი:35(20;1;14).კაბალა მიმდევრობით:8(2;1;5). ცხრილის (14)ე გრაფა ვერტიკალურად,პოემის დასასრული,სამი ნიშანი (ანი).იბერიელი ქარაგმით (14)კარ.(ანი) ძველი ანისი. სამი ნიშანის კაბალა (12).ქარაგმა თევზისა (12)ე თვე (ლას)ორი ქართ.კალენდარის სრული წრე (14) ძველი ვერძით და ახალი ზამთრის (2)ე თვით.იანვარით.

## ვეფხისტყაოსნის სტრუქტურა

როგორც პოემის სათაურის განხილვისას ვნახეთ, სავარაუდოდ ვეფხისტყაოსანი შედგენილია უმკაცრესი და უზუსტესი გათვლებით, არცერთი სიმბოლო არ არის შემთხვევითი. ყველა სიტყვასა თუ ნიშანს თავისი დატვირთვა აქვს.

